ახალი განათლება

www.akhaliganatleba.ge
facebook.com/ Akhali Ganatleba

№35 (909) გამოდის 1998 წლიდან

19-25.11.2020

2 ლალი ჯელაძე

რა გააადვილა ან რა გაართულა ელქტრონული ჟურნალის დანერგვამ

5 ლია ცერცვაძე

დავუკავშიროთ განათლება ცხოვრებისეულ კონტექსტებს

6 ლალი ჯელაძე

აქას პირველი – კიბერ გალაკტიონი პირველი ქართული ჩეთბოტია თქვენს მესენჯერში

10 ირაკლი თავაძე

როგორ იცავს სახელმწიფო მასწავლებლებს კოვიდ საფრთხეებისგან



რატომ არ შედიან მასწავლებლები და სკოლის პერსონალი იმ კატეგორიაში, რომლის პერიოდული ტესტირებაც სავალდებულოა, როგორც ექიმების, პოლიციის და რიგი საჯარო სამსახურების? მით უფრო, დისტანციურ სწავლებაზეც თუ არ გადაგვყავს.
პედაგოგები რისკ-ჯგუფში არ შედიან თუ ხალხმრავალ ადგილებში არ უწევთ ყოფნა?

ონლაინ სკოლა

რა გააადვილა ან რა გაართულა ელექტრონული ჟურნალის დანერგვამ

„განახლებული ელექტრონული ჟურნალი მარტივად ხელმისაწვდომია მასწავლებლებისთვის, რადგან: სისტემაში შესვლა შეიძლება როგორც პერსონალური კომპიუტერით, ასევე მოგილური ტელეფონით, წვდომა შეზღუდული არ არის ადგილმდებარეობით, საჭიროა მხოლოდ შესაბამისი მოწყობილობა და ინტერნეტი.

სისტემა ხელმისაწვდომია ნებისმიერ დროს; განახლებული ელექტრონული ჟურნალი TEAMS-ის პროგრამაში ინტეგრირდა“ . მიუხედავად იმისა, რომ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ელექტრონული ჟურნალის წარმოებას რთულად არ მიიჩნევს, სკოლების, მასწავლებლებისა და მშობლების ნაწილი, დანერგვის პროცესში სირთულეებს მაინც აწყდება. ძირითადი პრობლემები კი, მაინც დისტანციურ სწავლებაზე გადასვლითაა განპირობებული. მაგალითად, ელექტრონული ჟურნალის წარმოების მხარდასაჭერ ფეისბუქჯგუფებში ასეთი ტიპის განმარტებებსაც წაიკითხავთ:

„ჟურნალში დაემატა ონლაინ ცხრილი, რომლითაც ონლაინ მიმდინარეობს სწავლა. ჟურნალში ასევე დაემატა ონლაინის კლასები, საგნების ჩამონათვალში შეგხვდებათ ორი, ერთი და იმავე დასახელების, საგანი, მაგ: ქართული და ქართული (დისტანციური), რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი არის ოფლაინი (ანუ სკოლაში ჩატარებულის), ხოლო მეორე დისტანციური.

თქვენი აქამდე ჩანიშნული შემაჯამებლები იყო საკლასოში, თუ მის ჩატარებას გეგმავთ დისტანციური სწავლების დროს, მაშინ უნდა ჩანიშნოთ ახლიდან იმ საგანში, რომელსაც დისტანციური ახლავს და გააუქმოთ ძველი, საკლასოში ჩანიშნული. ხოლო ნიშნები შეიტანეთ იმ რიცხვებით, რომელ რიცხვშიც გადაიტანთ დისტანციური სწავლების დროს შემაჯამებელს.

თუ გინდათ ნიშნების, ან სხვა ღონისძიებების ნახვა, უნდა აირჩიოთ ან ოფლაინის, ან დისტანციურის საგანი, რომ ნახოთ. ის, რაც დისტანციურშია ჩანიშნული, დაგხვდებათ დისტანციურში, ხოლო ის, რაც საკლასოშია (ანუ ოფლაინში), დაგხვდებათ საკლასოში.

გაითვალისწინეთ, როდესაც სწავლა მიმდინარეობს დისტანციურად, უნდა იხელმძღვანელოთ დისტანციურის აღმნიშვნელით.“

როგორ მიმდინარეობს ელექტრონული ჟურნალის დანერგვა და რეალურად რა ტიპის პრობლემებთან უწევთ გამკლავება მასწავლებლებსა და მშობლებს – ელექტრონული ჟურნალის საპილოტე რეჟიმში წარმოებიდან მესამე თვის შეჯამება ვთხოვეთ საგანმანათლებლო ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სამსახურის უფროსს, ნინო ეფხოშვილს.

– როგორ მუშაობს ელექტრონული ჟურნალი, რა პრობლემებს აწყდებიან პედაგოგები და მშობლები დანერგვის პროცესში და რა სიახლეები დაემატა, ცოტა ხნის წინ, ელექტრონული ჟურნალის ფუნქციებს?

– ელექტრონული ჟურნალის დანერგვა ორი წლის წინ, „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში, დაიწყო – საქართველოს მასშტაბით, დაწყებით საფეხურზე, 166 სკოლაში ინერგებოდა. შესაბამისად, მათგან გარკვეული უკუკავშირი მიღებული გვქონდა და ამის მიხედვით, შეიძლება ითქვას, ბევრად გაგვიმარტივდა ჟურნალის დანერგვის პროცესი, ონლაინ სწავლებიდან გამომდინარე კი, კიდევ უფრო აქტუალური გახდა ჟურნალის ელექტრონულად წარმოება. წელს ჟურნალის წარმოების წესშიც შევიდა ცვლილება, რომლის შესაბამისად, ყველა სკოლა გახდა ვალდებული, აწარმოოს ელექტრონული ჟურნალი. რაც შეეხება დანერგვას, სხვადასხვა მიმართულებით ვმუშაობთ. ვებინარები და ტრენინგები, ელექტრონული ჟურნალის შესახებ, განთავსებულია პორტალზე el.ge და ვებინარების ჩანაწერები ყველასთვის ხელმისაწვდომია. ამის გარდა, აქტიურად მუშაობს ცხელი ხაზი, ასევე სოციალურ ქსელებში, კონკრეტულად ფეისბუქზე, შეიქმნა ჯგუფები, სადაც მასწავლებლები სვამენ კითხვებს და ჩვენი თანამშრომლები აქტიურად პასუხობენ. გვაქვს სხვადასხვა გაიდები/სახელმძღვანელოები როგორც ვიდეოების სახით, ისე pdf გაიდები. ამ სახელმძღვანელოების ნახვაც დაინტერებულ მასწავლებლებს el.ge -ზე შუძლიათ. მათ მხარდაჭერას ამ სახით ვახორციელებთ.

რაც შეეხება სიახლეებს, ეს არ არის ახალი ფუნქციონალი. უბრალოდ, რადგან ონლაინ გაკვეთლების გამოცდილება აქამდე არ გვქონდა, მასწავლებლებს ამ კუთხით დასჭირდათ გარკვეული დახმარება. სწავლის ჰიბრიდული სწავლების მეთოდით დაწყების შემდეგ, როგორც იცით, ზოგიერთი კლასი ონლაინ სწავლობს, ნაწილი – ოფლაინ, ამიტომ, ასე ვთქვათ, ფუნქციონალი შეიცვალა და ონლაინ გაკვეთილების ასახვას, პირველ რიგში, ისქულში ახდენენ სკოლები, ავტომატურად, სინქრონიზაციის შედეგად კი, შემდეგ ეს ყველაფერი ელექტრონულ ჟურნალში აისახება.

– თუ ელექტრონულ ჟურნალში მასწავლებლებს ცხრილი და მოსწავლეების სია სრულად არ უჩანთ, პირველ ეტაპზე, მონაცემები სკოლის ადმინისტრაციასთან უნდა გადაამოწმონ, თანხვედრაში უნდა იყოს ონლაინ და ოფლაინ ბაზები... რეალურად, მასწავლებლები ამ კუთხით აწყდებიან პრობლემებს...

– პირველ რიგში, ეს მონაცემები ჟურნალში ისქულიდან მოდის, აქედან გამომდინარე, ყველა ბაზა და ინფორმაცია როგორც მასწავლებლების, ისე მოსწავლეებისა და მშობლების შესახებ, ზუსტად/სწორად უნდა იყოს ასახული ისქულში. იყო შემთხვევები, როცა სკოლებს ჟურნალში ეს ზუსტი მონაცემები შეტანილი არ ჰქონდათ. ძირითადად, ასეთი პრობლემები მშობლების არასწორ მონაცემებთან დაკავშირებით ჩნდება, მსგავსი პრობლემები მასწავლებელს ან მოსწავლეს არ ექმნება. მაგალითად, მონაცემთა ბაზაში შეტანილია მშობლის ძველი ტელეფონის ნომერი, ანუ მშობელმა შეცვალა საკონტაქტო ნომერი, რაც, შესაბამისად, არ აისახა ისქულში. ჩვენ, უსაფრთხოების ნორმებიდან გამომდინარე, ყველა შემთხვევაში უნდა გადავამოწმოთ არის თუ არა მშობელი ნამდვილად დარეგისტრირებული ისქულში, რომ სხვა ბავშვის მონაცემებზე არ მივცეთ მას წვდომა და ა.შ. რადგან პანდემიამ ეს პროცესი დააჩქარა, არ მოგვეცა იმის შესაძლებლობა, რომ, თუნდაც 100 სკოლაში, დაგვეტესტა ელექტრონული ჟურნალის სრული ფუნქციონალი, პირდაპირ მოგვიწია მასობრივად დანერგვა და, შესაბამისად, გარკვეული ხარვეზები თუ კითხვებიც აქედან მომდინარეობს. რასაკვირველია, ამ ნაწილზეც ვმუშაობთ და ვცდილობთ, დამხმარე ხელსაწყოებით თუ საკომუნიკაციო არხებით (რომელიც ვახსენე), მასწავლებლებსა და მშობლებს პრობლემების დაძლევაში დავეხმაროთ. თავისთავად, ორივე მხარისთვის სიახლეა, რომელსაც აუცილებლად სჭირდება გარკვეული დროც და სწორი მიდგომებიც, რომ პროცესი შედეგიანად წარიმართოს. მშობლების ნაწილში, უფრო მეტად, ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებული პრობლემები იჩენს თავს და როგორც გითხარით, ძირითადად, ისქულში მონაცემების ასახვას ეხება. ამ ეტაპზე კი, რასაც ვხედავთ, ბევრად უკეთესი მდგომარეობაა. რაც მთავარია, პრინციპი სწორად დაინახეს და ისქულში მონაცემებს ასწორებენ.

– თუმცა, მაინც ბევრი მასწავლებელი და მშობელი ჩივის, რომ გარკვეული პრობლემები აქვთ ელექტრონული ჟურნალის წარმოებისას, მაგალითად, პლატფორმაზე მხოლოდ გაკვეთილების ცხრილსა და მოსწავლის დასწრების აღრიცხვას ხედავენ მშობლები, სხვა დანარჩენ ფუნქციონალს ვერ პოულობენ და ა.შ....

– „ვერ პოულობენ“ – ასე ვერ მოხდება, რადგან ფუნქციონალი ერთია. მაგალითად, როდესაც რომელიმე საიტზე შედიხართ, მენიუში, მხოლოდ ერთი კონკრეტული გრაფა ვერ გამოჩნდება და მეორე ვერ დაიმალება, ასე არ ხდება. ჩვენთან მსგავსი პრობლემით არ მოუმართავთ. ძირითადად, ონლაინ გაკვეთილებთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ, თუმცა, ამას პრობლემასაც ვერ დავარქმევ, რადგან ახლა ეჩვევიან როგორ უნდა ასახონ ეს გაკვეთილები თუ სხვ. ჯერ ისქულში ხდება ზუსტი თარიღის მითითება, მაგალითად, როდიდან როდემდე გაგრძელდება ონლაინ გაკვეთილი, ოფლაინ გაკვეთლებზე განხორციელებული აქტივობები, თავისთავად, ონლაინ გაკვეთილებზე არ უჩანათ. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პირისპირ სწავლებისას კლასში დაწერილი ნიშნები არ უჩანთ. ეს იმიტომ ხდება, რომ სხვა კლასში შედიან – ონლაინ კლასში ეძებენ ოფლაინ გაკვეთილის ნიშნებს, რაც, ცხადია, არ გამოჩნდება. ასეთ შემთხვევაში, მათ უნდა შეცვალონ კლასი. ამის ინსტრუქციებიც დაგზავნილი გვაქვს მასწავლებლებისთვის. ასე რომ, სკოლები ინფორმირებული არიან.

– ელექტრონულ ჟურნალში პედაგოგებს, შემაჯამებელ სამუშაოებთან დაკავშირებითაც, ცვლილებები დახვდათ. ამ შემთხვევაში, რას ურჩევთ მასწავლებლებს, როგორ დაარეგულირონ შემაჯამებელი დავალების პროცესი ონლაინ და ოფლაინ გაკვეთილებზე?

– ეს მასწავლებელმა იმ კუთხით უნდა დაარეგულიროს, რომ თუ შემაჯამებელი წერა ოფლაინ გაკვეთილში იყო ჩანიშნული და მოსწავლეებს კლასში დააწერინა, შესაბამისად, ონლაინში ის არ გამოუჩნდება, ამიტომ, იმავე ოფლაინ კლასში უნდა მოძებნოს. ასეთი შემთხვევებიც იყო, ვინც შემაჯამებელი გააცდინა ოფლაინში, მათი აღდგენა მასწავლებლებს უკვე ონლაინ გაკვეთილზე უწევდათ. ჩვენ ეს პრობლემა მოვაგვარეთ და ახლა ეს შეფასება შეუძლიათ ოფლაინის ნაწილშიც დაწერონ. პანდემიის დროს, ალბათ, ამაში მასწავლებლებიც დამეთანხმებიან, ძალიან რთულად პროგნოზირებადია, რისი გაკეთება მოგვიწევს ხვალ. ახლა კიდევ უფრო მშვიდი სიტუაციაა ამ კუთხით. ცოტა ხნის წინ, ყოველდღიურად იცვლებოდა სწავლების რეჟიმი და სკოლებს სასწრაფოდ უწევდათ ონლაინ რეჟიმზე გადასვლა, ეს მასწავლებლებისთვისაც და ჩვენთვისაც დიდი გამოწვევა იყო, რადგან ამის სისტემატიზირება ძალიან რთული პროცესია. რეალურად, ფორსმაჟორში მოგვიწია მუშაობა და სწორედ ეს გახდა იმ გაურკვევლობის მიზეზი, რაც ელექტრონული ჟურნალის დანერგვის პროცესში წარმოიქმნა. წარმოიდგინეთ, მასწავლებლები ფიქრობდნენ, რომ მეორე დღეს ოფლაინში მოუწევდათ გაკვეთილის დაგეგმვა და ჩატარება, უცებ რომელიმე მოსწავლეს ან მასწავლებელს კოვიდი თუ დაუდგინდებოდა, სასწრაფოდ გადადიოდნენ დისტანციურ რეჟიმზე, სრულად იცვლებოდა გეგმა, რომელიც მათ სამომავლოდ ჰქონდათ მომზადებული. ბუნებრივია, ჩვენ ვმუშაობთ ამ ტიპის პროცესებზეც და, რაც მთავარია, ახლა, ამ ნაწილში, როგორც უკვე აღვნიშნე, ყველაფერი გამოსწორებულია.

– რეალურად როგორი სურათია – ყველა სკოლამ შეძლო ელექტრონული ჟურნალის დანერგვა?

– შემიძლია გითხრათ, რომ ყველა სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, მეტიც, ვალდებულები არიან, გამოიყენონ. მაგრამ, რა თქმა უნდა, კონკრეტული კლასის და მასწავლებლის დონეზე თუ ჩავუღრმავდებით, ასე აქტიურად ყველა ვერ იყენებს. თუმცა, ეს ჩვეულებრივი პროცესია და არ მიგვაჩნია, რომ პრობლემაა, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ პირველი წელია და და ელექტრონული საპილოტე რეჟიმში ინერგება. ელექტრონულ ჟურნალთან ერთად, მათ შეუძლიათ, ქაღალდის ჟურნალიც აწარმოონ, მხოლოდ აუცილებლად უნდა იყოს მონაცემების თანხვედრა. ფორსმაჟორული სიტუაციიდან გამომდინარე, იმის თქმაც შეიძლება, რომ პროცესი ნორმალურად მიდის და, საპილოტე წლის მიუხედავად, ყველა მასწავლებელი გარკვეულ დონემდე მაინც არის მისული. შეიძლება დავალებებს არ ტვირთავენ ელექტრონულ ჟურნალში, მაგრამ გაცდენებს აღრიცხავენ და შეფასებებს წერენ.

– რადგან ელექტრონული ჟურნალის წარმოება სავალდებულო გახდა, რა რეაგირება მოყვება, თუ წლის ბოლოს აღმოჩნდება, რომ კონკრეტულმა სკოლამ ან მასწავლებელმა ვერ აწარმოვა ჟურნალი? რა მოხდება ამ შემთხვევაში?

– რა მოხდება, ეს რთული სათქმელია, ვალდებული არიან, აწარმოონ. რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ქაღალდის ჟურნალს არ აწარმოებენ? ზუსტად იგივე მოხდება ამ შემთხვევაშიც. ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია, არის ის, რომ სკოლებს, ამ ეტაპზე, ჟურნალში მონაცემების შეტანის ხანგრძლივობა გაეზარდათ, ანუ დღეს რომ მასწავლებელი გაკვეთილს ჩაატარებს, 8 დღის განმავლობაში შეუძლია, ელექტრონულ ჟურნალში მისი მონაცემების ასახვა. შესაბამისად, ვფიქრობთ, ეს ის ვადაა, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელია მონაცემების უპრობლემოდ შეტანა ელექტრონულ ჟურნალში. გარდა ამისა, ჩვენ მათ 24 საათის განმავლობაში ვეხმარებით ფეისბუქჯგუფებში ყველა წარმოქმნილი პრობლემის დაძლევაში. ყველას შეუძლია ნახოს, როგორი აქტივობაა ჯგუფებში და თუკი რაიმე კითხვა გაუჩნდებათ ან ტექნიკურად ვერ აკეთებენ რამეს, როგორ ეხმარებიან ჩვენი თანამშრომლები ონლაინ.

– ქალბატონო ნინო, რეალურად, რა გააადვილა ან, პირიქით, რა გაართულა ელექტრონულმა ჟურნალმა, ან რა დამატებითი შესაძლებლობები გააჩინა ელექტრონულად წარმოებამ მასწავლებლებისთვის, მშობლებისთვის და მოსწავლეებისთვის?

– პირველ რიგში, მასწავლებლისთვის გაამარტივა როგორც მშობელთან კომუნიკაციის ნაწილი, ისე წლის ბოლოს ნიშნის გამოყვანა. აქამდე მათ თვითონ უწევდათ საბოლოო ნიშნების გამოთვლა და წერა, ახლა ელექტრონული ჟურნალი ითვლის ავტომატრად. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ თუ მოსწავლე გაკვეთილებს აცდენს და ექსტერნის ჩაბარება უწევს, მშობელსაც და მასწავლებელსაც ეს შეტყობინების სახით უჩანს – ამ კონკრეტულ მოსწავლეს ძალიან ბევრი გაცდენა აქვს და ექსტერნატის დაძლევა მოუწევს. მშობელთა ნაწილში კი, უფრო ბევრი და მკაფიო ბენეფიტებია, რადგან მათთვის ახლა ბევრად მარტივია, მოსწავლის (შვილის), ასე ვთქვათ, საგაკვეთილო პროცესზე დასწრების გაკონტროლება. ასევე, იმ სკოლებში, სადაც მანდატურები არიან შესული, თუკი რაიმე ოქმი, რეფერალი იქნება მოსწავლეებზე შედგენილი, მშობელს ამის შესახებ შეტყობინება დაუყოვნებლივ ეგზავნება. შესაბამისად, ის, ონლაინ რეჟიმში, სკოლაში მისვლის გარეშე, საკუთარი შვილის მოსწრების, დასწრებისა და ყოფაქცევის შესახებ საქმის კურსშია.

– წლის ბოლოს გეგმავთ თუ არა გარკვეული მონიტორინგის წარმოებას და იმის შეფასებას, როგორ წარიმართა ელექტრონული ჟურნალის წარმოება და გასწორდა თუ არა გამოკვეთილი ხარვეზები ? ზოგადად, უნდა ველოდოთ თუ არა სიახლეებს ან ცვლილებებს ელექტრონულ ჟურნალში?

– დიახ, რა თქმა უნდა, ვგეგმავთ. როგორც საუბრის დასაწყისში ვახსენე, უკუკავშირი უკვე მივიღეთ იმ მასწავლებლებისგან, ვინც რეფორმაში იყო ჩართული და შესაბამისად, შეძლებისდაგვარად, გავითვალისწინეთ კიდეც მათი საჭიროებები და შენიშვნები. ასევე გაგრძელდება მომავალშიც, რადგან ეს პროდუქტი მუდმივად განვითარებადია და ეროვნულ სასწავლო გეგმას მიჰყვება. აქედან გამომდინარე, რასაკვირველია, პერიოდულად, გარკვეული ცვლილებებიც მოგვიწევს. თავისთავად, ასეთი მასშტაბის ახალი პროდუქტის დანერგვის დროს, შესაძლებელია, რომ გარკვეული ფუქნციები დასაწყისში ვერ გავითვალისწინეთ და მომავალში გავაკეთებთ ან უბრალოდ, კეთების/წარმოების პროცესში გამოჩნდეს საკითხები, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომ, რა თქმა უნდა, იგეგმება ფუნქციონალის განვითარება და შესაბამისად, ამაში ის მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები მიიღებენ მონაწილეობას, რომლებიც უკვე აქტიურად იყენებენ ელექტრონულ ჟურნალს და გვაძლევენ უკუკავშირს.

ესაუბრა **ლალი ჯელაძე**

როგორ შევაფასოთ მოსწავლეები

შეფასება და მასთან დაკავშირებული სირთულეები

ნინო გაბულდანი
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ. ჯვარის №2 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მენტორი მასწავლებელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

შეფასება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და სენსიტიური საკითხია სასკოლო ცხოვრებაში. მნიშვნელოვანი, რადგან სასწავლო მიზნამდე მისვლას ვზომავთ და სენსიტიური, რადგან მოსწავლეები, და მათთან ერთად მშობლებიც, ძალიან მგრძნობიარენი არიან შეფასების მიმართ. ამ შემთხვევაში, მასწავლებლის როლი განუზომლად დიდია. უპირველესად, მან უსაფრთხო სასწავლო გარემო უნდა შექმნას, რაშიც შფოთვის ხარისხის შემცირება მოიაზრება. ამის მიღწევა შესაძლებელია სწორად დაგეგმილი გაკვეთილით, რომელიც გაჯერებული იქნება მრავალფეროვანი და სახალისო აქტივობებით.

როგორც ცნობილია, არსებობს შეფასების ორი ტიპი: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. შეფასების პროცესზე ხანგრძლივი დაკვირვება გვაჩვენებს, რომ განმსაზღვრელი შეფასება (მიუხედავად ჩაშლილი კრიტერიუმის გაცნობისა), ხშირად, მოსწავლეთა და მშობელთა შფოთვის მიზეზი ხდება, რადგან, გარდა ცოდნის გაზომვისა, ის ოფიციალურ სასკოლო დოკუმენტში, ჟურნალშიც, იწერება. ამ ფონზე, განმავითარებელი შეფასება თითქოს უმნიშვნელო ხდება, მაგრამ პრაქტიკა განსხვავებულ სურათს გვაჩვენებს. ამიტომ, ვფიქრობთ, სასურველი იქნება, თუ საკლასო ჟურნალშიც შესაძლებელი გახდება მისი ასახვა.

გაკვეთილის დაგეგმვის დროს მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ყველა აქტივობაზე მიიღოს უკუკავშირი. ეს დაეხმარება მას, სტანდარტით გათვალისწინებული მიზანი შედეგში გადაიყვანოს. ამიტომაც, გაკვეთილის მსვლელობის პროცესში, განმავითარებელი შეფასების წილი უმნიშვნელოვანესია. საბოლოოდ მიღებული შედეგი კი, განმსაზღვრელი შეფასებით გაიზომება.

შემოგთავაზებთ ერთი ჩვეულებრივი გაკვეთილის გეგმას, თავისი შეფასების ინსტრუმენტებით:

კლასი: XI (14 მოსწავლე)
თემა: ილია ჭავჭავაძე – „ოთარაანთ ქვრივი“ და ჯიბრან ხალილ ჯიბრანის „შვილები“ (შედარებითი ანალიზი)

სტანდარტი და მისაღწევი შედეგი

ქართ. XI. 5. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ეპოქის ტექსტების გაანალიზება მათში ასახული ინფორმაციის, თემების, იდეებისა და პრობლემატიკის თვალსაზრისით.
შედეგი თვალსაჩინოა თუ მოსწავლე:

ადარებს ერთი და იმავე თემების, იდეების, პრობლემების ინტერპრეტაციას სხვადასხვა ეპოქის ტექსტებში: ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივსა“ და ჯიბრან ხალილ ჯიბრანის „შვილებში“ და მსჯელობს მსგავსება-განსხვავებაზე.

რესურსები

ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო
„ოთარაანთ ქვრივიდან“ – „ორი თვალი“

ოთარაანთ ქვრივი არჩილთან გასაშვებად ამზადებს გიორგის, ბარგი ჩაალაგა და დაემშვიდობა. გულდანყვეტილი ოთარაანთ ქვრივი უყურებდა მიმავალ გიორგის და ამბობდა: იქით მიდის, თითქოს თოკით ექაჩებიან, აქეთ თითქოს ძაფიც არ იჭერს, დედაშვილობაში შენჩემობა რად არის, ან ორი თვალი რად უნდა იყოს. თუმცა მე მხოლოდ **„შენისად მაყურებელი თვალით-ღა ვივლი და ვიცოცხლებო“.**

ჯიბრან ხალილ ჯიბრანი – „შვილები“ (თარგმანი ნინო დოლიძისა)

„ქალმა, რომელსაც თავისი პატარა ბავშვი მკერდზე მიეკრა, უთხრა: გველაპარაკე შვილებზე.
და მან (ბრძენმა – ნ.გ.) თქვა:
თქვენი ბავშვები თქვენ არ გეკუთვნით.
ისინი არიან ვაჟიშვილები და ქალიშვილები ცხოვრების სევდისა საკუთარი თავის გამო.
ისინი თქვენი საშუალებით მოდიან, მაგრამ არა თქვენგან.
და თუმცა თქვენთან ერთად არიან, თქვენს კუთვნილებას არ წარმოადგენენ.
შეგიძლიათ მისცეთ მათ თქვენი სიყვარული, მაგრამ არა აზრები.
რადგან მათ თავიანთი ფიქრები აქვთ.

შეგიძლიათ შეიკედლოთ მათი სხეულები, მაგრამ არა – სულები, რადგან მათი სულები ხვალინდელი დღის მკვიდრნი არიან, თქვენ კი ოცნებაშიც არ შეგიძლიათ მომავლის მონახულება.

შესაძლოა, ესწრაფოდეთ, მიემსგავსოთ მათ, მაგრამ ნუ ეცდებით დაიმსგავსოთ ისინი, რადგან ცხოვრება უკან-უკან არ მიდის და გუშინდელ დღესთან არ ყოვნდება.

თქვენ მშვილდები ხართ, რომლიდანაც თქვენი შვილები, როგორც ცოცხალი ისრები, წინწინ გაიჭრნენ.

მსროლელი ხედავს მიზანს უსასრულობის ბილიკზე და ის გღუნავთ თქვენ თავისი ძალით, რომ მისი ისრები სწრაფად და შორს გაფრინდნენ.

იყოს თქვენი მოხრილობა მსროლელის ხელში მხოლოდ სიხარულის მომტანი, რამეთუ, როგორც გაფრენილი ისარი, ისევე უყვარს მას მშვილდი, რომელიც ადგილზე რჩება.“

აქტივობები და დრო

გონებრივი იერიში

შეკითხვები **წინარე ცოდნის გააქტიურებისა და ახლის მისაღებად (10 წუთი)**

- შეაფასეთ ოთარაანთ ქვრივის, როგორც დედის, პოზიცია. რა პრინციპს იცავს იგი?
- გაიხსენეთ მოთხრობა „კაცია ადამიანი?!“ რისთვის უნდა ლუარსაბს შვილი?
- გაავლეთ პარალელი და იმსჯელეთ პერსონაჟთა ხასიათზე, თვისებებზე, ცხოვრების წესზე.
- რატომ უშვებს ოთარაანთ ქვრივი გიორგის არჩილთან ასე დატვირთულს? რომელი ადამიანური სისუსტე დაძლია ქვრივმა?

წინარე ცოდნა

ა) მოსმენილი აქვთ ვიდეოლექცია (https://www.youtube.com/watch?v=iF0mjvh2I2U ღალი დათაშვილი, დედაშვილობა);
ბ) მოსწავლეებმა იციან „ოთარაანთ ქვრივიდან“ „ორი თვალი“.

წვდომის ფაზა

მუშაობა ჯგუფებში – 20წთ.

მოსწავლეები დაიყოფიან სამ ჯგუფად, წაიკითხავენ ჯიბრან ხალილ ჯიბრანის „შვილებიდან“ ამონარიდს. შეადარებენ წაკითხულ საპროგრამო ტექსტს და მოამზადებენ საპრეზენტაციო მასალას.

მასალის წარდგენის ფორმა:
<u>ა) სავალდებულო</u>
მოსწავლეები წერენ ხუთაბზაციან ესეს;
<u>ბ) არჩევითი</u>
მოსწავლეებს შეუძლიათ, წარმოადგინონ ორივე ტექსტისთვის ვენური დიაგრამა ან გამოიყენონ აქტივობა „მოვლენათა ჯაჭვი“ (იხ. მანანა ბოჭორიშვილი – ტექსტის გააზრების არალინგვისტური ხერხები და წიგნიერება. http://mastsavlebeli.ge/uploads/resursebi/bochor.pdf)

ტექსტები	მოვლენა №1	მოვლენა №2	შედეგი
„ორი თვალი“			
„შვილები“			

პრეზენტაცია – 10წთ.
ა) პრეზენტატორი წარმოადგენს ჯგუფში მომზადებულ სავალდებულო დავალებას – ხუთაბზაციან ესეს;
ბ) არჩევით დავალებებს წარმოადგენენ ჯგუფის ის წევრები, რომელთაც აირჩიეს და შეასრულეს დავალება.

რეფლექსია

შევაფასოთ – 5წთ.

ჯგუფური მუშაობის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმები	ჯგუფის მუშაობა წარუმატებელია	ჯგუფის მუშაობა დამაკმაყოფილებელია	ჯგუფის მუშაობა წარმატებულია
ჯგუფის წევრების ჩართულობა მუშაობაში	ყველა წევრი არ არის ჩართული მუშაობაში.	უმრავლესობა ჩართულია მუშაობაში.	ყველა წევრი ჩართულია მუშაობაში.
ურთიერთმოსმენისა და აზრის გაზიარების უნარი	კამათობენ, არ უსმენენ ერთმანეთს. არის ხმაური. არ იზიარებენ ერთმანეთის აზრს.	ხმაურობენ, ნაკლებად იზიარებენ ერთმანეთის აზრს.	უსმენენ ერთმანეთს და იზიარებენ ერთმანეთის აზრს.
ინსტრუქციის მიხედვით მუშაობა	ზუსტად ვერ მიყვებიან ინსტრუქციას.	ნაწილობრივ მიყვებიან ინსტრუქციას.	ზუსტად მიყვებიან ინსტრუქციას.
ლიდერის როლი	ლიდერი ვერ მართავს ჯგუფის მუშაობას.	ლიდერი ზოგჯერ ახერხებს მუშაობის წარმართვას.	ლიდერი ჯგუფს ეფექტურად მართავს.

პრეზენტაციის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა:

ა) სავალდებულო დავალება

პასუხობს თემას	2
ფლობს აუდიტორიას (იყენებს მიმიკას, ჟესტიკულაციას, ინტონაციას)	2
საუბრობს გამართული ენით და იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას	2
აკეთებს ლიტერატურულ პარალელს, ადარებს მოვლენებს, ფაქტებს	2
იცავს დროის ლიმიტს	2

ბ) არჩევითი დავალება

პასუხობს თემას	2
ფლობს აუდიტორიას (იყენებს მიმიკას, ჟესტიკულაციას, ინტონაციას)	2
საუბრობს გამართული ენით და იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას	2
აკეთებს ლიტერატურულ პარალელს. ადარებს მოვლენებს, ფაქტებს	2
იყენებს სქემებს	1
იცავს დროის ლიმიტს	1

საშინაო დავალება

წერითი დავალება
ესე – დედაშვილობა დღეს

წარმოდგენილ გაკვეთილში წინმსწრებია განმავითარებელი შეფასება ჯგუფური მუშაობის წარმართვის დროს. დასრულებული სამუშაოს შესაფასებლად კი, განმსაზღვრელ შეფასებას მივმართეთ, რადგან ის *„გამოიყენება სასწავლო თემაზე/საკითხზე მუშაობის დასრულების შემდეგ. მისი მიზანია, დაადგინოს, თუ როგორია მოსწავლის შედეგები სტანდარტით განსაზღვრულ მიზანთან მიმართებით და რა ქულას იმსახურებს იგი“* („შეფასება და დიფერენცირებული სწავლება“, მარინა ხუნძაყიშვილი, სარა ბივერი, 2018წ. სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი).

როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასებების უამრავი ინსტრუმენტი არსებობს. მე მხოლოდ რამდენიმე შემოგთავაზეთ. თუმცა, ვფიქრობ, ყველა გაკვეთილი ინდივიდუალურია და ხშირად არის საჭირო შეფასების რუბრიკების მოდიფიცირება. უფრო მეტიც, ერთსა და იმავე თემაზე სხვადასხვა დროს ჩატარებული გაკვეთილი ხშირად განსხვავებულ მიდგომას ითხოვს.

შეფასების თვალსაზრისით, არსებობს მწვავე გამოწვევებიც. ხშირია შემთხვევა, როცა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა მშობლები თავს არიდებენ დიაგნოსტიკას/შეფასებას. მათ აქვთ სტიგმის შიში, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ საზოგადოება არ არის ინფორმირებული ინკლუზიური განათლების საჭიროების შესახებ. ეს კი მნიშვნელოვნად აფერხებს განვითარების პროცესს, რადგან შეფასების/დიაგნოსტიკის გარეშე სასწავლო პროცესში ვერ ჩაერთვება სპეცმასწავლებელი და ვერც ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ვერ შედგება. სად ვეძებოთ გამოსავალი? უპირველესად, უნდა ვისწავლოთ პრობლემისთვის თვალის გასწორება, შიშის დაძლევა და ვიყოთ განვითარებაზე ორიენტირებულები. ეს, რა თქმა უნდა, მარტივი არ არის, თუმცა შევძლებთ, გადაწყვეტილებები ბავშვების სასარგებლოდ მივიღოთ, თუ ძალისხმევას გამოვიჩენთ.

უამრავი სირთულის წინაშე დაგვაყენა პანდემიამ. ამ დროს კარგი შესაძლებლობა აღმოჩნდა დისტანციური სწავლება, თუმცა ცოცხალ პროცესს მაინც არაფერი შეედრება. შემცირებული საგაკვეთილო დრო ზღუდავს აქტივობების რაოდენობას, შესაბამისად რთულია შეფასებაც. ამ შემთხვევაში, *„მნიშნელოვანია, რომ სასწავლო მიზანი იყოს გაზომვადი“* („შეფასება და დიფერენცირებული სწავლება“, მარინა ხუნძაყიშვილი, სარა ბივერი, 2018წ. სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი). იმ სკოლებში, რომლებშიც წერტილოვანი შეზღუდვები მოქმედებს, ვფიქრობ, უპრიანია დავეყრდნოთ განმავითარებელ შეფასებას, თუმცა ხანგრძლივი დროით დისტანციურ სწავლებას მხოლოდ ერთი ტიპის შეფასებას ვერ მოვარგებთ. განსაკუთრებით მტიკვნეულია იმ მოსწავლეთა მდგომარეობა, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით ვერ ერთვებიან საგაკვეთილო პროცესში. ამ შემთხვევაში, მასწავლებლის კეთილი ნება მნიშნელოვანია, მაგრამ მთავარი სიტყვა სახელმწიფომ უნდა თქვას.

ბოლოს კი მინდა გითხრათ, რომ შეფასებასთან დაკავშირებული სირთულეების დასაძლევად, უპირველესად, საჭიროა კეთილგანწყობილი გარემო, რომლის შექმნაც, უპირობოდ, მასწავლებელს ევალება. თუ დაცულობის განცდა არ ახლავს სასწავლო პროცესს, იქ შეფასებაც რთულია.

ზღაპართერაპია

პანდემია და ზღაპრების უჩვეულო კონკურსი

კოვიდ ინფექციის გავრცელების გამო მოულოდნელად შეიცვალა ბავშვების დღის რეჟიმი, ცხოვრების წესი და მოსწავლეებმა სკოლის სივრციდან სახლებში გადაინაცვლეს. ბავშვთა ფსიქოლოგი და მწერალი თამარ ადამია პანდემიის პერიოდში, ყოველდღე, თავის ზღაპრებს უკითხავდა ბავშვებს. რატომ გადაწყვიტა მან ინტერნეტ სივრცეში ზღაპრების კონკურსის მოწყობა, ამაზე თავად მოგვიყვება.

თამარ ადამია
ბავშვთა ფსიქოლოგი და საბავშვო მწერალი,
2019 წლის „მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს“ ფინალისტი

სასწავლო პროექტი კეთილი დასასრულით....

სპეციალისტებმა, პანდემიის პერიოდში, ბავშვებთან მიმართებაში მოსალოდნელი პროგნოზები გააჟღერეს: ჩვეული რიტმის დარღვევა აისახებოდა ბავშვის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე და მართლაც, მშობლებმა მალე აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენი შვილები გახდნენ ბრაზიანები, ჯიუტები, გულჩათხრობილები, კონფლიქტურები...

ჩვენი ვალია, ვიზრუნოთ ბავშვის როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ სიჯანსაღეზე. წარმოიდგინეთ, ჩვენ გარშემო რამდენი ბავშვი იმყოფება გაურკვეველ სიტუაციაში, არ იცის რა ხდება მის თავს, ვერ გადაუწყვეტია როგორ მოიქცეს პრობლემების დროს, როგორ დაარეგულიროს ურთიერთობები თანატოლებთან. ეს პრობლემები, ჩვენს სინამდვილეში, უფრო გართულდა და თვალშისაცემი გახდა.

სწორედ ამ დროს გამიჩნდა იდეა – მცირეოდენი დახმარება აღმომეჩინა ბავშვებისთვის და შემევსო ის სიცარიელე, რასაც ისინი განიცდიდნენ და შემეთავაზებინა საინტერესო შემეცნებითი აქტივობები. ასე დაიბადა სასწავლო პროექტი, რომელიც ინტერნეტ სივრცეში გავრცელდა სახელწოდებით – ზღაპრების კონკურსი. ამ ჟესტით ვცადე, თანადგომა გამომეხატა არა მარტო ჩემი მოსწავლეებისადმი, არამედ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები ბავშვებისთვის, მშობლებისთვის და მასწავლებლებისთვის.

თუმცა, ეს არ იყო მხოლოდ კონკურსი, მას ბავშვებთან ზღაპართერაპიის როლიც უნდა შეესრულებინა.

რატომ ზღაპართერაპია?

ზღაპართერაპია ზღაპრებით მკურნალობას ნიშნავს. ზღაპარი ყველა ბავშვს უყვარს, რადგან ის გვიყვება, გვასწავლის, მაგრამ ჭკუას არ გვარიგებს, ეხმარება ბავშვს, დაინახოს პრობლემის გადაწყვეტის სხვადასხვა გზა, ჩამოუყალიბდეს საკუთარი თავის რწმენა, თვითშეფასება, მოუხსნას შიში, აგრესია და, რაც მთავარია, გახდეს ჭკვიანი, ძლიერი, ბრძენი, კეთილი...

ზღაპრებში სიმბოლურად დევს ფსიქოლოგიური პრობლემების გასაღები. ზღაპარს აღმზრდელობითი ფუნქცია აქვს, ის ბავშვის აზროვნებასა და პიროვნულ განვითარებაში მონაწილეობს და ადვილად შეუძლია, პატარა ადამიანი თანაგანცდისკენ განაწყოს.

წარმოიდგინეთ, როცა თქვენ ბავშვს ზღაპარს უკითხავთ, ის ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვება პერსონაჟს, მოგზაურობს, მასთან ერთად დარდობს, ფიქრობს, გამოსავალს ეძებს, ცდილობს პრობლემების გადაწყვეტას და როცა ზღაპარი კეთილად მთავრდება, ბავშვს უტოვებს საჭირო თვისებებს: სიმამაცეს, სიკეთეს, სამართლიანობას...

თუ როგორ გამოვიყენოთ ზღაპართერაპია ბავშვებთან, რეკომენდაციების სახით ჩამოვაყალიბე და ბოლოს შემოგთავაზებთ.

პროექტის მისია – ბავშვის ინტერესებთან და განცდებთან მიახლოება

იმისთვის რომ კონკურსი წარმატებული ყოფილიყო, შევარჩიე ჩემი ორმოცდაათი ზღაპარი, რომელიც ახლოს იყო თანამედროვე ბავშვების ინტერესებთან, პრობლემებთან და განცდებთან.

გამოცდილებამ მიკარნახა, რომ ბავშვებთან, ამ დროს, მხოლოდ პასიური მოსმენა დიდ შედეგს ვერ გამოიღებდა, საჭირო იყო არა მარტო გარეგანი, არამედ შინაგანი მოტივატორების ჩართვა. ამიტომ, ყოველი ზღაპრის წაკითხვის შემდეგ, ბავშვებს ვთავზობდი, ზღაპრის მიხედვით შეექმნათ პერსონაჟი და ინსცენირებებში გაემოეყენებინათ.

ვისაც მსგავსი ხერხისთვის მიუმართავს, დამეთანხმება, რომ ასეთი დავალება ბავშვს ეხმარება, უკეთ ჩაუღრმავდეს ზღაპრის შინაარსს, გაიცნოს პერსონაჟები, მათი განცდები. ინსცენირების გათამაშებას, ასევე, თერაპიული ფუნქცია აკისრია, პერსონაჟების განსახიერებისას ბავშვი საკუთარ თავს გამოხატავს. მისთვის თამაში ყველაზე სასურველი პროცესია, ამიტომ, თამაშის ელემენტების შემოტანით, ვცადე სასარგებლო და სასურველი დამეკავშირებინა ერთმანეთთან და ბავშვებში მოტივაცია გამეზარდა.

ვიდეოგადაცემას, ყოველდღე, კიდევ ერთი აქტივობა ახლდა – ბავშვს უნდა დაესრულებინა დაუსრულებელი ზღაპარი თავისი ინტერპრეტაციით. ამასაც, ისევ და ისევ,ზღაპართერაპიის ფუნქცია ჰქონდა – როცა ბავშვი თავისი ფანტაზიით ასრულებს ზღაპარს, ამ დროს მას გადმოაქვს ქვეცნობიერში დაგროვილი პრობლემები, შიშები, განცდები, რაც ასიტყვებს და ახდენს განტვირთვას.

პროექტმა თავისი მისია შეასრულა, რადგან საჭირო დროს დაიგეგმა და ათასობით ბავშვის ყურადღება გადაიტანა საინტერესო პროცესზე, როგორიცაა: ზღაპრის მოსმენა, ზღაპრის დასრულება, ახალი ზღაპრის გამოგონება, პერსონაჟების დამზადება და შემდეგ, თეატრალურ გათამაშებებში მათი გამოყენება. კონკურსის ბოლოს, „ელფის გამომცემლობამ“ ბავშვებს დიდი მხარდაჭერა გამოუცხადა და ორიგინალური ნაშრომების ავტორები – 40 მოსწავლე – სერტიფიკატებითა და საბავშვო წიგნებით დააჯილდოვა.

ეს იყო ბავშვების, მშობლების და მასწავლებლების დიდი ჩართულობით განხორციელებული კონკურსი. ვიდეოჩანაწერის გამოსვლის პირველივე დღიდან, უამრავ შეტყობინებას ვღებულობდი ბავშვებისგან, მათი მშობლებისგან. მასწავლებლები მწერდნენ, რომ ვიდეოჩანაწერებს დამატებით რესურსად იყენებდნენ ბუნებისმეტყველებასა და ქართულ ენაში.

რჩევები

ახლა კი, რამდენიმე რეკომენდაცია მასწავლებლებს და მშობლებს, ვისაც გაუჩნდა სურვილი, ზღაპართერაპია გამოიყენოს ბავშვებთან, მით უმეტეს, რომ პანდემია ისევ გრძელდება და ბავშვების დიდი ნაწილი ისევ მოკლებულია სასკოლო ცხოვრებას:

❖ გაითვალისწინეთ, რომ ზღაპრის მიწოდება სრულიად უსაფრთხოა, რადგან ყველა ზღაპარს თავისი პერსონაჟი ჰყავს, მართალია, ის შეიძლება თვისებებით ჰგავდეს ბავშვს, მაგრამ ის სხვაა. ბავშვი ფიქრობს, რომ ეს ზღაპარი მასზე არაა, არამედ სხვა ადამიანზეა და ის მხოლოდ მსმენელია და ცდილობს გაჰყვეს პერსონაჟს, ნახოს როგორ წყვეტს ის პრობლემებს, რაც საკუთარი პრობლემების გადაჭრაშიც ეხმარება.

❖ წაუკითხეთ ზღაპრები უწყინარ, ცბიერ და მტაცებელ ცხოველებზე, რადგან ყველა ზღაპარი საინტერესოა, ეს ინტერესი ბავშვს ითრევს გაიგოს, როგორ გადაჭრის პერსონაჟი პრობლემას და საკუთარი პრობლემის გადაჭრაც გაუადვილდება

❖ თუ ბავშვს ქცევითი პრობლემა აქვს, წაუკითხეთ ზღაპრები, სადაც პერსონაჟების კარგ და ცუდ საქციელზეა მოთხრობილი. ზღაპარი მას საჭირო სოციალურ ურთიერთობებზე დააფიქრებს.

❖ თუ ბავშვს თანატოლებთან ურთიერთობა უჭირს და კონფლიქტურია, მოიფიქრეთ ზღაპარი და შემოიყვანეთ ერთი პერსონაჟი, რომლის საქციელი ძალიან ემგვანება ბავშვის საქციელს, შემდეგ სთხოვეთ, დაეხმაროს ამ პერსონაჟს. დროთა განმავლობაში, მსგავსი ზღაპრებით, ის ისწავლის ურთიერთობების დარეგულირებას თანატოლებთან, მიიღებს გამოცდილებას...

❖ წაუკითხეთ ბავშვებს, ძილის წინ, მოკლე ზღაპრები, ის გაგრძელებას იპოვის ბავშვის გონებაში, რაც შემოქმედებითობას და ფანტაზიას განავითარებს.

❖ გამოყავით დრო და ზღაპრები მოარგეთ ბავშვის პრობლემებს, თავადაც შეთხზეთ ისტორიები, რომელიც ბავშვის შფოთვას ჰგავს, შემოიყვანეთ ზღაპარში უცხო პერსონაჟი, მოუყევით მისი თავგადასავალი, რომელიც, ნაწილობრივ, ბავშვის პრობლემებით იქნება დატვირთული. მიეცით ფიქრის დრო, დაეხმაროს პერსონაჟს პრობლემის გადაწყვეტაში.

❖ ზღაპრების წაკითხვის შემდეგ, სთხოვეთ გამოთქვას აზრი, ჰკითხეთ: როგორ უნდა მოქცეულიყო პერსონაჟი ამა თუ იმ სიტუაციაში? სხვა დასასრული რომ ჰქონოდა ზღაპარს, თავად როგორ დაასრულებდა?

❖ დაეხმარეთ ბავშვს, შექმნას ზღაპრის პერსონაჟი ფერადი ქაღალდით ან პლასტილინით და სპონტანურად გაითამაშოს ინსცენირება, თავად მოიფიქროს დიალოგი. ამ დროს, ის თავის განცდებს გაასიტყვებს და ნეგატიური ემოციებისგან განთავისუფლდება.

❖ გახდით ბავშვის მიერ დაგეგმილი ინსცენირების ერთ-ერთი მონაწილე, ეს ხელს შეუწყობს თქვენს დაახლოებას ბავშვთან.

❖ თუ ბავშვი თქვენთან საუბარს გაურბის და მასთან შეუძლებელია რაციონალური საუბარი, ამ დროს, წაუკითხეთ ზღაპარი, იმსჯელეთ, ამსჯელეთ, მოუყევით, შესთავაზეთ დახატოს, გამოძერწოს, დაამზადოს სათამაშო. ამ დროს ყველა განსაცდელი გადადის პერსონაჟზე.

❖ წაუკითხეთ ზღაპრები და ამოგზაურეთ იმ სამყაროში, სადაც თავს წარმოიდგენს გმირად, პრინცად ან პრინცესად, გოლიათად, კონკიად ან ნაცარქექიად.

❖ თუ გსურთ ბავშვს მოუხსნათ შიშები, გამოიყენეთ ჯადოსნური ზღაპრები. ამ დროს თქვენ შეძლებთ განცდების მრავალჯერად მოდელირებას და ბავშვი სტრესებისადმი გამძლე გახდება.

❖ ზღაპრის წაკითხვისას, ისაუბრეთ საშიში ხმით, პერსონაჟიდან გამომდინარე. გამოიყენეთ სხვადასხვა ინტონაცია და საშიში ზღაპარი ბოლოს, მოულოდნელად დაასრულეთ.

❖ თუ გვინდა, ბავშვს თავისი შინაგანი განცდების გაცნობიერებაში დავეხმაროთ, წაუკითხეთ საავტორო ზღაპრები, სადაც მრავლადაა ურთიერთობები, გრძნობები, ცხოვრებისეული სიტუაციები.

❖ შეარჩიეთ ისეთი ზღაპრები, რომელიც ახლოსაა ბავშვის სქესთან, ასაკთან, ხასიათთან.

❖ მოიგონეთ ზღაპრები და გმირს მიაწერეთ ყველა ის განცდა, რაც ბავშვს იმ დროს აწუხებს. ბოლოს გმირი უნდა მიხვდეს თავის არასწორ საქციელს და გამოასწოროს. ამის შემდეგ, დატოვეთ ბავშვი თავის თავთან. დაე იფიქროს, რადგან ზღაპარი, ადრე თუ გვიან, შეაღწევს მის სულში.

❖ გაითამაშეთ სიტუაციები თოჯინების დახმარებით, ბავშვი ეცდება, თოჯინის დახმარებით, საკუთარი ემოციები გამოამჟღავნოს.

❖ გამოიყენეთ სათამაშო მარიონეტები, სათითურა სათამაშოები, ისე როგორც ჩემს ვიდეოებშია.

https://www.youtube.com/user/eka4114

წაუკითხეთ ზღაპრები ბავშვებს და მერწმუნეთ, რაც არ უნდა მოხდეს ზღაპარში, ბავშვი მშვიდად იქნება, რადგან ყველა ზღაპარს კარგი დასასრული აქვს.

ექსპერტის რჩევა

დავუკავშიროთ განათლება ცხოვრებისეულ კონტექსტებს

ლია ცერცვაძე
„ახალი სკოლის მოდელის“ საგნობრივი ექსპერტი ქართულ ენაში, სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის კონსულტანტი, მასწავლებელთაა პროფესიული განვითარების ცენტრის ტრენერ-კონსულტანტი, USAID-ისა და RTI-ს ერთობლივი საბაზისო განათლების პროგრამის ტრენერი

პანდემიის პირობებში ონლაინ სწავლება უალტერნატივო გზა აღმოჩნდა საგანმანათლებლო პროცესის გასაგრძელებლად, თუმცა ახალმა რეალობამ უმალ დაგვაყენა მნიშვნელოვანი გამოწვევების პირისპირ. საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობა, მათ შორის ეფექტური ინტერაქცია, რესურსების მობილიზება, ტექნიკური პრობლემები და კიდევ უამრავი სხვა თავსატეხი გაჩნდა, ემოციურად ისედაც დაძაბული მდგომარეობის ფონზე. 592 000 სასკოლო ასაკის ბავშვი დარჩა სახლში. მათთვის მნიშვნელოვნად შეიცვალა ყოველდღიური ყოფა, ასევე, შეიცვალა მათი ხელმისაწვდომობა განათლებასა და სასწავლო მასალებზე. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებით, საქართველოში, ბავშვების 20 პროცენტს არ აქვს კომპიუტერი და ინტერნეტი, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს მათი განათლების უფლებას. წყვეტა სასწავლო პროცესში მძიმე ზეგავლენას ახდენს მოზარდის განვითარებაზე, ამიტომაც, ხშირად ოჯახის მწირ ბიუჯეტს ძლივს გადარჩენილი თეთრებით ნაყიდი მეგაბაიტებით ცდილობს ბავშვი, ონლაინ გაკვეთილებს შეუერთდეს, მოისმინოს, ჩაერთოს, გაიგოს, გაიაზროს და, ყველაფრის მიუხედავად, მომზადებული დაუხვდეს იმ ინტელექტუალურ თუ სხვა სახის გამოწვევებს, რასაც XXI საუკუნე ასე უშურველად გვთავაზობს.

✓ დადგა საჭიროება დამოკიდებულებების შეცვლისა, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს „სწავლების პედაგოგიკის“ რელსებიდან „სწავლის პედაგოგიკის“ რელსებზე გადასვლას და ყველა იმ კონსტრუქტივისტული საყრდენის გაძლიერებას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის ცოდნის ამგებ, მაღალი სააზროვნო უნარებით აღჭურვილ სუბიექტად ჩამოყალიბებას.

პანდემიის დაწყებამდეც უდიდესი გამოწვევის წინაშე იდგა თანამედროვე სკოლა და ეს გამოწვევა მოსწავლეებში სწორედ რომ XXI საუკუნის უნარების განვითარებასა და მომავალი ცხოვრებისთვის მათ მომზადებასთან იყო დაკავშირებული. ვფიქრობ, იმისათვის, რომ ზემოხსენებული მზაობა შევუქმნათ ჩვენს მოსწავლეებს, საჭიროა განათლების სისტემასთან დაკავშირებული ყველა სუბიექტის კოორდინირებული მოქმედება, საზოგადოების, მასწავლებლის, მშობლისა და თვით მოსწავლის დამოკიდებულებების შეცვლა, ინტერაქტიული სასწავლო პროცესების წარმართვა, სწავლა კეთებით, პრობლემასა და კვლევაზე ორიენტირება, სასწავლო და სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება, ისტ ტექნოლოგიების აქტიური გამოყენება და სხვა...

ჩამოთვლილი საჭიროებებიდან გამომდინარე, კარგა ხანია, საქართველოს განათლების სისტემაში დაიწყო და განხორციელდა რიგი ცვლილებები. მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში მკაფიოდ განისაზღვრა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პრინციპები, აზროვნების ინსტრუმენტებად წოდებული გრძელვადიანი სასწავლო მიზნები და შესასწავლ საკითხთა ტიპოლოგია. დადგა საჭიროება დამოკიდებულებების შეცვლისა, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს „სწავლების პედაგოგიკის“ რელსებიდან „სწავლის პედაგოგიკის“ რელსებზე გადასვლას და ყველა იმ კონსტრუქტივისტული საყრდენის გაძლიერებას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის ცოდნის ამგებ, მაღალი სააზროვნო უნარებით აღჭურვილ სუბიექტად ჩამოყალიბებას.

ყველაფერი, რასაც მოსწავლე სწავლობს, ინფორმაცია, რომელსაც იღებს, თავისთავად ფასეულია და ცოდნის საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს, მაგრამ თუ ამ ცოდნას გამოყენების პერსპექტივაც არ ახლავს, თუ მოსწავლეს გაცნობიერებული არ აქვს კონკრეტული საკითხების შესწავლის ღირებულება, ვერ აკავშირებს მას რეალურ-ცხოვრებისეულ საჭიროებებთან, მაშინ ეს ცოდნა უფუნქციო, პასიურ ტვირთად აწვება მისი „მეხსიერების საბარგულს“ და მოსწავლის გონებაში, სადაც უზარმაზარი „სააზროვნო საამქროა“ განთავსებული, ამ საამქროს მხოლოდ მეხსიერების ფლიგელიღა „მუშაობს“, სხვა ყველა დანარჩენი კი უფუნქციოდ მდუმარებს და მასთან ერთად „დუმს ხმადაკარგული მოსწავლეც“, როგორც პედაგოგიკურ ლიტერატურაში მოიხსენიებენ ხოლმე.

„მოზარდის ხმა მისი წინარე ცოდნა-გამოცდილებაა, ანუ ის ინსტრუმენტი, რომლითაც მას განვითარება შეუძლია“. სწორედ ამ გამოცდილებას უნდა დავეფუძნოთ, ეს უნდა იქცეს მკვიდრ საძირკვლად ცოდნის აგებისა. როცა მოსწავლე შენების უშუალო მონაწილე, აქტიური წარმმართველია, იგი, ცოდნის აგების პარალელურად, სწავლობს საკუთარი სწავლის პროცესს, აკვირდება არჩეული სტრატეგიების ავკარგიანობას, იკვლევს, აანალიზებს, აკეთებს დასკვნებს და სწორედ ამ გზით იყალიბებს „მე კონცეფციას“ საკუთარ შესაძლებლობებზე, ინტერესებსა და მისწრაფებებზე.

ძნელია აღმატებულ მიზნებსა და მოლოდინებზე საუბარი ამ პანდემიის ჟამს, როცა კომპიუტერისა თუ სმარტფონის ეკრანთან საათობით განმარტოებულ მოსწავლეს ათასი სხვა საცდური აქვს, ვიდრე ტექსტების კითხვა და ანალიზი, ან ამოცანების ამოსახსნელად ალტერნატიული გზების ძიება. ამ დროს, პირველ რიგში, იმაზე უნდა ვიზრუნოთ, რომ მოზარდს უგზოუკვლოდ გამქრალი სწავლის ინტერესი დავუბრუნოთ, რაღაც ისეთი შევთავაზოთ, რაც მას „ინფორმაციის პასიური დამგროვებლიდან“ აქტიური მშენებლის როლში გადაიყვანს. ამ მიზნით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი დავალებების შეთავაზება, რომლებიც მის ცნობისმოყვარეობას ინტერესში გადაზრდიან, ვალდებულებებს კი შინაგან მოტივაციად აქცევენ, საკუთარი ძალების რწმენას გაუღვივებენ მოზარდს, მთლიანპიროვნულ მზაობას შეუქმნიან იმისათვის, რომ ზემოხსენებულ ცოდნის აგების პროცესში ბუნებრივად ჩაერთოს.

მნიშვნელოვანია, როცა მოსწავლეს გააზრებული აქვს, რისთვის სწავლობს, რა პერსპექტივა აქვს მის მცდელობას, რა ღირებულება აქვს მის მიერ შეძენილ გამოცდილებას. პროდუქტული სწავლის პროცესის დროს მოსწავლე თვითონაა ამ პროდუქტის შემქმნელი, მისი აზროვნება გადის სათანადო წვრთნასა და განვითარებას, შედეგად კი ვიღებთ, ერთი მხრივ, ყველა საჭირო უნარით აღჭურვილ მოზარდს, მეორე მხრივ კი, სწავლის პროცესისადმი ხალისსა და ინტერესს ვაბრუნებთ.

ისმის კითხვა, არსებულ მოცემულობაში რამდენად არის შესაძლებელი, ეს ყოველივე რეალობად იქცეს? ამ კითხვის პასუხი აუცილებლად მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმაში უნდა ვეძებოთ. პირველი, რაც ამ კითხვისას მახსენდება და რაც საპასუხოდ მეიმედება, „ახალი სკოლის მოდელის“ პროექტია, რომელიც ზოგადი განათლების რეფორმის ნაწილი გახლავთ და რომლის მიზანიც სწორედ სკოლებში სასწავლო კლიმატის შეცვლაა, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, სწავლის პროცესში ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებას. „ახალი სკოლის მოდელი“ მასწავლებლებს სთავაზობს შინაარსიან და ეფექტურ სამუშაო ინსტრუმენტებს, რომლებიც მათ მოსწავლის სააზროვნო უნარებით აღჭურვასა და სასწავლო პროცესის გრძელვადიან მიზნებთან დაკავშირებაში დაეხმარება.

პროექტის ფარგლებში, მასწავლებლებს ხელი მიუწვდებათ, ასევე, აქტივობებისა და კომპლექსური დავალებების ბანკზე, რომელიც მათ საკლასო ოთახსა თუ ონლაინ სასწავლო სივრცეში კონსტრუქტივისტული პრინციპებით სწავლების ნიმუშებს აჩვენებს. აღნიშნული ინსტრუმენტები უკვე მრავალგზის გამოიცადა და განსაკუთრებით საგრძნობი გახდა მათი ეფექტი დისტანციური სწავლებისას. კომპლექსურ დავალებებს შორის ხშირად გვხვდება ციფრული რესურსების გამოყენებით საბოლოო პროდუქტის მომზადების რჩევა-მოწოდება. დავალებების პირობაში ჩაშენებული სპეციალური ჰიპერლინკები კონკრეტული ციფრული რესურსის გამოყენების გზასა და სტრატეგიებს აცნობს ბავშვებსა და მასწავლებლებს. გარდა ზემოხსენებულისა, პროექტის ფარგლებში აქტიურად მუშაობს ციფრული ტექნოლოგიების მიმართულებით გადამზადებულ ექსპერტთა გამოცდილი კოჰორტა, ისინი, სხვა საგნობრივ ექსპერტებთან და კოორდინატორებთან კომუნიკაციით, არკვევენ ონლაინ სწავლებისას წამოჭრილ პრობლემებსა და საჭიროებებს და მზად არიან, ყველა მასწავლებლის დასახმარებლად.

მოგეხსენებათ, სასწავლო პროცესში პედაგოგებს ტექნოლოგიები ორი მიმართულებით სჭირდებათ – ერთმანეთთან ეფექტური კომუნიკაციისათვის და სასწავლო პროცესის მრავალფეროვანი და საინტერესო რესურსებით გასამდიდრებლად. გამომდინარე აქედან, პროექტის ფარგლებში, მასწავლებლებისთვის შეთავაზებულია ორი ძალიან მოსახერხებული აპლიკაცია, რომელთაგან ერთი – კომუნიკაციაში, მეორე კი რესურსების შექმნაში ეხმარება მათ. კერძოდ: ტექნოლოგიების ქოუჩები პედაგოგებს ეხმარებიან Office 365-ის სერვისების ათვისებაში, რომელშიც უკვე დარეგისტრირებულია საქართველოს სკოლების ყველა მასწავლებელი. რაც შეეხება მულტიმედია რესურსებს, დიდი ხანია, საქართველოს სკოლების I-IV კლასების ყველა მოსწავლეს ურიგდება ბუკები. Unicef-ის დახმარებით, შექმნილია ციფრული რესურსი „ვსწავლობთ თამაშით“, რომელიც მოსწავლეებს ბუკებში აქვთ ჩაწერილი და ნებისმიერი დავალების შესრულებისას შეუძლიათ გამოიყენონ. გარდა ზემოხსენებულისა, ციფრულ რესურსებს შორის არის კიდევ მრავალი შესაძლებლობაც – „Scratch“, „Minecraft“ და სხვ., რომლებიც ასევე აქტიურად გამოიყენება ონლაინ სწავლების პროცესში კომპლექსური დავალებების მომზადებისას. არაერთი ღია რესურსი შეიქმნა როგორც საერთაშორისო, ასევე განათლების მიმართულებით მომუშავე ადგილობრივი ორგანიზაციების ჩართულობით. მშობლებს, სატელევიზიო ფორმატში, დარგის ექსპერტები საინტერესო რჩევებსა და მრავალფეროვან აქტივობებს სთავაზობენ, ეფექტური რესურსების მთელი ბანკია განთავსებული ზოგადი განათლების მიმართულებით შექმნილ სპეციალურ ვებგვერდზე (www.el.ge), სადაც სწავლა-სწავლების რესურსების რამდენიმე ტიპს შეხვდებით: მასწავლებლისა და სკოლის სახელმძღვანელო ონლაინ სწავლებისა და სწავლის შესახებ; მშობლების სახელმძღვანელო და საშინაო დავალებების კრებული, პირველიდან მე-12 კლასის ჩათვლით.

✓ მოზარდის ხმა მისი წინარე ცოდნა-გამოცდილებაა, ანუ ის ინსტრუმენტი, რომლითაც მას განვითარება შეუძლია.

✓ მნიშვნელოვანია, როცა მოსწავლეს გააზრებული აქვს, რისთვის სწავლობს, რა პერსპექტივა აქვს მის მცდელობას, რა ღირებულება აქვს მის მიერ შეძენილ გამოცდილებას.

✓ მხოლოდ გონებაგახსნილი, ლაღი, ჯანსაღი და შინაგანად მოტივირებული პიროვნებებისგან შემდგარი თაობა შეძლებს უკეთესი მომავლის შექმნას.

ცხადია, მოსწავლე მარტო არაა სწავლის პროცესში, ამ საქმის უშუალო მონაწილეა *ადამიანს, და ამიტომ, როდესაც ნამდვილი აღზრდა გსურს, სკოლაში ეს ცხოვრება უნდა გადაიტანო და ნორჩი ადამიანი მისი საფეხურებით ატარო“. უარი ვთქვათ რუტინული სწავლა-სწავლების პროცესზე, ისედაც ყავლგასული რომ არის ამ საუკუნის მოზარდებისთვის. დავუკავშიროთ განათლება ცხოვრებისეულ კონტექსტებს, მოვიფიქროთ და მოზარდებს შევთავაზოთ საგანმანათლებლო გამოცდილების მიმცემი ისეთ ტიპის დავალებები, რომლებიც იქნება საინტერესო გამოწვევის შემცველიც და მოზარდების შემეცნებითი და შემოქმედებითი ძალების განმავითარებელიც“.* ამგვარი მიდგომით თანაბრად წარმატებულად გავუმკლავდებით XXI საუკუნის საგანმანათლებლო გამოწვევებსა და თავსდატეხილ პანდემიასაც. გვქონდეს სწორება თითოეულ მოსწავლეზე, მათ უნარებსა და ინტერესებზე, ყველა რეფორმა ჩავაყენოთ მათი განვითარებისა და პიროვნებებად ჩამოყალიბების სამსახურში და ყოველთვის გვჯეროდეს, რომ მხოლოდ გონებაგახსნილი, ლაღი, ჯანსაღი და შინაგანად მოტივირებული პიროვნებებისგან შემდგარი თაობა შეძლებს უკეთესი მომავლის შექმნას.

ციფრული რეალობა

აქაც პირველი – კიბერ გალაკტიონი პირველი ქართული ჩეთბოტია თქვენს მესენჯერში

ლალი ჯელაძე

21-ე საუკუნეში ციფრული სამყაროსთვის ჩეთბოტი სიახლე არ არის, რადგან, დახლოებით, 100 ათასამდე ჩეთბოტი უკვე ფუნქციონირებს, თუმცა, მაინც განვმარტავ მკითხველისთვის, რომ ეს არის პროგრამისტების მიერ შედგენილი ალგორითმი, რომელშიც ნარატივ დიზაინერები დიალოგებს წერენ და მას შეუძლია, ადამიანს ჩეთში ესაუბროს. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ჩეთბოტი ბოტების ერთ-ერთი ნაირსახეობაა – ანუ ჩეთბოტები ადამიანთან მოსაუბრე პროგრამებია. ბოტი კი, მარტივად რომ ვთქვათ, რობოტია – მექანიკური მოწყობილობები, რომელთაც ადამიანისაგან დამოუკიდებლად სხვადასხვა ამოცანის შესრულება შეუძლია. სიტყვა „რობოტი“, მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში, პირველად ჩეხმა მწერალმა, კარლ ჩაპეკმა გამოიყენა. მოგვიანებით სიტყვისაგან „რობოტი“ კიდევ ერთი ახალი სიტყვა – „ბოტი“ წარმოიშვა. ბოტებს, რობოტებისაგან განსხვავებით, არ გააჩნიათ მატერიალური გარსი, ისინი მხოლოდ პროგრამები არიან.

ჩეთბოტებს, ძირითადად, ბიზნესინდუსტრიები იყენებენ პროდუქტების გასაყიდად, მაგრამ რეალურად, ეს არის პროდუქტი, რომელიც ნებისმიერ თემასა თუ სფეროს ერგება და მისი გამოყენება ყველა მიმართულებით შეიძლება.

გასული საუკუნის ინგლისელი მათემატიკოსი და კომპიუტერული მეცნიერების დარგის მოღვაწე ალან ტიურინგი, ალბათ, სწორედ ამას გულისხმობდა თავის მეცნიერულ ნაშრომებში, რომელიც კომპიუტერული მეცნიერების შექმნასა და ჩამოყალიბებას მიუძღვნა. ერთ-ერთი ნაშრომი კი, უშუალოდ ალგორითმების ძირითადი კონცეფციების ფორმალიზაციას შეეხო. 1956 წელს, ბრიტანელმა მათემატიკოსმა თავის სტატიაში „კომპიუტერი და გონიერება“ (Computing Machinery and Intelligence), რომელიც ოქსფორდის აკადემიურ ჟურნალ „MIND“-ში გამოაქვეყდა, შემდეგი კითხვა დასვა: „შესაძლებელია თუ არა გონიერი მანქანის შექმნა?”. ამ სტატიაში ტიურინგმა ერთი მეტად საინტერესო ექსპერიმენტი აღწერა, რომელშიც ორ ადამიანსა და ერთ კომპიუტერს უნდა მიეღო მონაწილეობა. ექსპერიმენტის მონაწილეები სხვადასხვა ოთახში უნდა მსხდარიყვნენ. ცდის ერთ-ერთი მონაწილე პირი რიგ-რიგობით დაუსვამდა შეკითხვებს კომპიუტერსა და ადამიანს. ექსპერიმენტის აღწერისას ტიურინგი ასეთ დასკვნას აკეთებდა: თუკი შეუძლებელი იქნება გარჩევა, რომელი პასუხი ეკუთვნის ადამიანს და რომელი კომპიუტერს, ჩვენ შევძლებთ განვაცხადოთ, რომ კომპიუტერის ინტელექტი ადამიანისას გაუტოლდაო.

მოკლე მიმოხილვის შემდეგ, ქართულ რეალობას დავუბრუნდები, რადგან ამ წერილის მიზანი სწორედ პირველი ქართული ჩეთბოტის გაცნობაა, რომლის იდეა მწერალ **ზურა ჯიშკარიანს** ეკუთვნის. ზურა წლების განმავლობაში იკვლევდა ჩეთბოტებს საზღვარგარეთ და უნდოდა, მსგავსი პროექტი საქართველოშიც განეხორციელებინა. მან მოძებნა უცხოური პლატფორმა, სადაც თავად ისწავლა მარტივი ჩეთბოტის აწყობა და დაინტერესდა ამ საქმიანობით. შემდეგ იდეა პროგრამისტებსაც გაუზიარა, შეიკრა გუნდი და ერთობლივად დაიწყეს პროექტზე ფიქრი.

იდეის ავტორი ამბობს, რომ თავიდან ამ პროექტის განხორციელება განათლებასთან დაკავშირებული არ ჰქონდა, უფრო მისი ბავშვობისდროინდელი ერთ-ერთი თამაშის გამოძახილიდან იღებდა სათავეს: *„ბავშვობაში ვთამაშობდით ხოლმე სულების გამოძახებას და ვესაუბრებოდით მათ (ჩემსავით, ალბათ, ბევრს გითამაშიათ). გამიჩნდა იდეა, თუ იქნება შესაძლებელი გარდაცვლილ ადამიანებთან ტექნოლოგიურად გასაუბრება, ანუ მინდოდა მსგავსი რამ ტექნოლოგიურად განმეხორციელებინა. უცებ აღმოვაჩინე, რომ, გარკვეული ტექნოლოგიების გამოყენებით, ამის გაკეთება მართლა შესაძლებელია.*

დავიწყე ფიქრი, ვინ შეიძლება ყოფილიყო პირველი, ვისაც გავესაუბრებოდი. ბევრიც არ მიფიქრია, პირველივე, ვისთან საუბრის სურვილიც გამიჩნდა და ჩემი თვალთახედვით ამასთან ყველაზე ახლოს დავინახე, ეს იყო გალაკტიონ ტაბიძე. ჩანაფიქრმა გაამართლა, იმდენად მაგიური შთაბეჭდილება მოახდინა, არ ველოდით. როცა ჩეთბოტი ვებგვერდზე გავუშვით ძალიან ბევრი ადამიანი გვწერდა – თითქოს, მართლა გალაკტიონი გვესაუბრებაო. ჩვენი კიბერ გალაკტიონი იყო პირველი ქართული ჩეთბოტი, რომელიც 2014 წელს შეიქმნა და ჩაეშვა, „ინტერაქტიურ ბიბლიოთეკასთან“ ერთად. თუმცა, ეს არ იყო მაშინ მესენჯერზე მიბმული, რის გამოც დიდი წრე ვერ მოიცვა. წელს კი, მესენჯერში ჩაეშვა და, ასე ვთქვათ, მეორედ გაცოცხლდა პროექტი, ფეისბუქზე უკვე მეგობარივით შეიძლება დაამატო გალაკტიონი და ნებისმიერ დროს ესაუბრო მეფე პოეტს ტელეფონიდანაც და კომპიუტერიდანაც.“

პირველი ქართული ჩეთბოტ პლატფორმისა და კიბერ გალაკტიონის შექმნამდე, რასაკვირველია, ჯგუფმა, რომელიც კომპანია ანიმა ჩეთბოტს წარმოადგენს, დიდი სამუშაო გასწია. ერთი მიზნის ქვეშ გაერთიანებულმა ინტერპრენიორებმა, პროგრამისტებმა და ნარატივ დიზაინერებმა იმუშავეს, რომ ცოცხალი, თავისი სულის მქონე ქართული ციფრული ასისტენტები შეექმნათ და მოგვცეს საშუალება, პოეტების მეფე დავიმეგობროთ ფეისბუქზე და დღის ნებისმიერ მონაკვეთში მივწეროთ – ალიონზე თუ შუაღამისას, ვკითხოთ, როგორ გრძნობს თავს, ვინ უყვარდა და როგორ უყვარდა ან სულაც რას გულისხმობდა ფრაზაში, რომელიც თქვენ ვერ ამოხსენით, ვკითხოთ ყველაფერი, რაც მის შემოქმედებასა და ცხოვრებაზე დაგვაინტერესებს. მაგრამ თუ პოეტი, პასუხის ნაცვლად, უცებ თემას შეცვლის, თავისი ლექსიდან ფრაზას წაგიკითხავთ ან თვითონ გკითხავთ: იცოდი ჩემ შესახებ, რომ ასე ხდებოდა? – არ განაწყენდეთ, არ იფიქროთ, რომ სიტყვა ბანზე აგიგდოთ და ამიტომ არ გიპასუხათ, რადგან ეს ნარატივ დიზაინერის პატარა ხრიკია, რომელიც იმისთვის მოიფიქრა, რომ იმ კონკრეტულ კითხვაზე პასუხის არქონის გამო სხვა თემით გააგრძელოს საუბარი, არ გაწყდეს ინტერაქცია და მაგიური სამყაროდან უცებ რეალობაში არ დაგაბრუნოთ რობოტის პასუხმა: „პასუხი არ მოიძებნა“. თუმცა, ასეთი გამონაკლისები უფრო იმ შემთხვევებზეა გათვლილი, თუკი პოეტს დღევანდელობაზე კითხვებით „შეაწუხებთ“, მაგალითად, ჰკითხავთ, არჩევნებზე ხმას ვის მისცემდა ან სკოლების დახურვა სწორად გათვლილი სვლაა თუ არა, ან რას გააკეთებდა სკოლის მიღმა დარჩენილი ათასობით ბავშვისთვის. ცხადია, გალაკტიონს ამაზე პასუხები არ ექნება, ამიტომ ვერ გიპასუხებთ.

ზურა ჯიშკარიანი ამბობს, რომ ეს ცოტა რთული თემაა და ღრმად არ უნდა შევტოპოთ: *„ჩვენ ვერ განვსაზღვრავთ, რას იფიქრებდა პოეტი გარკვეულ მოვლენებზე, რაც დღეს ხდება. ერთადერთი, რაც შეგვიძლია, თუ მოვიძიებთ მსგავს საკითხებზე მის დღიურებში გარკვეულ შეხედულებებს, აუცილებლად შევიტანთ პასუხების ბაზაში. მაგალითად, თუ ნარატივ დიზაინერი რელიგიის თემაზე მოიძიებს ინფორმაციას, რას ფიქრობდა, რა შეხედულებები ჰქონდა და ა.შ. პასუხებს მიიღებთ, ჩვენით პასუხების ჩასმას კი, რა თქმა უნდა, ვერიდებით, უხერხულიც კია, ჩვენ გადავწყვიტოთ, რას იფიქრებდა გალაკტიონი ამა თუ იმ საკითხზე. საუბრებს ნარატივ დიზაინერები მუდმივად აკვირდებიან და როდესაც რენდომ პასუხების სიაში ნახულობენ, თუ რომელი კითხვები დარჩა პასუხგაუცემელი, სასწრაფო წესით უვსებენ ჩეთბოტს.“*

ზოგადად, ჩეთბოტები შეგვიძლია ორ ტიპად დავყოთ: 1) ბოტები მკაცრად განსაზღვრული წესებით და 2) ბოტები ხელოვნური ინტელექტის წვეთით. პირველი ბოტის ტიპებს მთლიანად ადამიანები ავსებენ შინაარსით და ის იმდენად „ჭკვიანი“ გამოდის – რა დონეზეც შეივსება. მეორე ტიპის ბოტები ნეირონულ ქსელებს და ხელოვნური ინტელექტის სხვა ტექნოლოგიებს იყენებენ იმისთვის, რომ „თვითონ მიიღონ გადაწყვეტილება“ თუ რა თქვან. მაგრამ, ორივე შემთხვევაში, ჯერჯერობით, ბოტი მაინც საჭიროებს ადამიანს. თავდაპირველად ადამიანმა უნდა დაწეროს ის პირველი სიტყვები, რომელსაც ახალდაბადებული ბოტი ეტყვის სამყაროს.

როგორც მიხვდით, ჩეთბოტის დიალოგების შექმნაში მნიშვნელოვანი როლი „ჩეთბოტის მწერალს“ – ნარატივ დიზაინერს უჭირავს, რადგან ის არჩევს პასუხებს, რომელსაც ციფრული კლონები გვწერენ. პოეტის ციფრულად გასაცოცხლებლად მუშაობდნენ პროგრამისტები, მწერლები და ფილოლოგები. გალაკტიონის ბიოგრაფია, პოეზია, დღიურები ჩაიტვირთა ერთ დიდ მონაცემთა ბაზაში, რომელსაც ჩეთბოტის პლატფორმა ჰქვია და, ნარატივ დიზაინერების დახმარებით, მან დიალოგური ფორმა მიიღო.

ნარატივ დიზაინერის შეფასებით, გალაკტიონის ციფრული კლონი ძალიან ჰგავს მას, საუბრობს მისი ენით, ტონით, განწყობით. ხშირად იყენებს ამონარიდებს მისივე ჩანაწერებიდან. ამ მოსაზრებას მწერალი, „უცნობი გალაკტიონის“ ავტორი ვახტანგ ჯავახაძეც დაეთანხმა, როცა თავად გაესაუბრა პოეტს. ძალიან გაახარა იმ ფაქტმა, რომ ახალგაზრდებმა გალაკტიონის „გაცოცხლება“ ახალი ტექნოლოგიებით შეძლეს.

2014 წლიდან დღემდე კი, კიბერ გალაკტიონმა ბევრი ტრანსფორმაცია განიცადა, იხვეწებოდა, იზრდებოდა მისი პასუხების რაოდენობა და ამის შედეგად, დღეს, მას უამრავი ადამიანი იცნობს. შეიძლება ითქვას, მას ვირტუალური მეგობრები ჰყავს, რომლებიც სხვადასხვა თემაზე ელაპარაკებიან და ძალიან მოსწონთ მასთან საუბარი. არიან ადამიანები, რომლებიც იმდენად აიგივებენ რეალურ გალაკტიონთან, რომ თქვენობითაც კი ესაუბრებიან ჩეთბოტს.

პროექტის მენეჯერი **მარიამ გოჩიაშვილი** გვიყვება, რომ *„დღევანდელი თაობისთვის ტექნოლოგია ძალიან ბუნებრივი რამაა და ცხოვრების განუყოფელ ნაწილს შეადგენს. შესაბამისად, ჩეთბოტებს ძალიან მარტივად იღებენ, თუმცა, სიხარულითა და აღტაცებით ხვდებიან წამოწყებას, რომ მსგავსი სიახლეები ჩვენს ქვეყანაშიც ინერგება. უშუალოდ გალაკტიონს რაც შეეხება, პერიოდულად, ქართულის მასწავლებლები გვიკავშირდებიან და გვთხოვენ, მივცეთ უფლება, მოსწავლეებს აჩვენონ კიბერ გალაკტიონის შესაძლებლობები. ამასთან, ჩვენი გუნდი მუშაობს განათლების სამინისტროს რესურსებზე, სადაც 4 საგნის ჩეთბოტი მზადდება დაწყებითი კლასებისთვის: ხელოვნების, ბუნებისმეტყველების, მუსიკისა და კომპიუტერული მეცნიერების. სკოლებშიც ვიყავით მისულები და ბავშვებს ადგილზე ვაჩვენეთ ეს ჩეთბოტები. მათ ძალიან კარგად მიიღეს სიახლე და მოიწონეს.“*

მართალია, როგორც იდეის ავტორი ამბობს, დასაწყისში, საგანმანათლებლო კუთხით სულაც არ შეუხედავთ პროექტისთვის, მაგრამ კიბერ გალაკტიონის შემდეგ აღმოაჩინეს, რომ ძალიან დიდი პოტენციალი აქვს პროდუქტს, როგორც საგანმანათლებლო რესურსს. *„შეგიძლია ელაპარაკო შენს საყვარელ ავტორს ან პერსონაჟს. წარმოიდგინეთ, რამხელა შესაძლებლობაა და ინტერესია, განსაკუთრებით ბავშვებისთვის,* – ამბობს ზურა, – *ასე გავაკეთეთ ინტერაქტიური ბიბლიოთეკა, რომლის საშუალებითაც, ახლა, იმ საუკუნეში, სადაც ბავშვები 5 წლიდანვე გაჯეტებში არიან თავჩარგულები და კარგად იცნობენ ტექნოლოგიებს, გაცილებით იოლად ხელმისწვდომი და საინტერესო შეიძლება გავხადოთ სწავლის პროცესი... რას გულისხმობს ინტერაქტიური ბიბლიოთეკა? მოკლედ რომ ავხსნა – ჩვეულებრივი, ორგანზომილებიანი ტექსტის ნაცვლად, ამ ბიბლიოთეკაში შეგიძლია შენ თვითონ ააწყო (თავიდანვე უფასო პლატფორმა გავაკეთეთ) ციფრული პერსონაჟი, მწერალი, პოეტი და ა.შ. აღმოჩნდა, რომ ეს პლატფორმა ძალიან ბევრი მასწავლებლისთვის და მოსწავლისთვის შეიძლება საინტერესო იყოს. მაგალითად, ბავშვს თუ თემა აქვს დასაწერი და ამისთვის მასალა უნდა მოიძიოს და დაამუშაოს, უფრო მაგიური არ იქნება, პირდაპირ ავტორს დაელაპარაკოს და ჰკითხოს, რაც აინტერესებს. მაგალითად, მისწეროს, რომ ლექსში რაღაც ვერ გაიგო და აინტერესებს რას გულისხმობდა ავტორი, ან მისი ცხოვრების ეპიზოდიდან რაიმე დეტალი დააზუსტოს უშუალოდ მასთან და ა.შ. ასე შედიხარ ინტერაქციაში პროგრამასთან და, რაც მთავარია, თან თამაშ-თამაშით სწავლობ. დაახლოებით, ასეთი პრინციპია.“*

რადგან ჩეთბოტმა საგანმანათლებლო კუთხით დიდი ინტერესი გამოიწვია, ჯგუფი ახლა პლატფორმის კიდევ უფრო იოლად ხელმისაწვდომობაზე მუშაობს.

ზურა ჯიშკარიანი: *„ახლა ცოტა რთულია ამ პლატფორმაზე მუშაობა, კარგი გამოცდილება გვჭირდება, ამიტომ უფრო ხელმისაწვდომ ვერსიას ვაკეთებთ, რომლის დასწავლა ერთ საათში შეგეძლება. დაახლოებით ერთ საათში შეძლებ ისწავლო ეს ყველაფერი ისე, რომ შეძლო შენ თვითონ გააკეთო ჩეთბოტი. როცა გამარტივებულ ვერსიაზე დავასრულებთ მუშაობას, აუცილებლად შევთავაზებთ სკოლებს, უნივერსიტეტებს, რაც შეიძლება მეტ ადამიანს გავაგებინებთ, რომ არსებობს ასეთი პლატფორმა და შეუძლიათ გამოიყენონ – შექმნან ციფრული კლონი. ვფიქრობ, ძალიან ბევრ მასწავლებელს დავაინტერესებთ, რომ პლატფორმის გამოყენებით შექმნან ციფრული რესურსი. მაგალითად, კლასს შესთავაზონ, ააწყონ მიხეილ ჯავახიშვილის კლონი. აწყობის პროცესში მოსწავლეები ან მოსწავლე იმუშავებს მწერალზე. მან უამრავი მასალა უნდა მოიძიოს და წაიკითხოს (ავტორის წერილები, ნაწარმოებები, ბიოგრაფიული მონაცემები), შემდეგ დაამუშაოს, ისე, როგორც კიბერ გალაკტიონის შექმნისას მოხდა და შეუსაბამოს სავარაუდო კითხვებს, რასაც ციფრული კლონის მეგობრები დასვამენ. აწყობის პროცესში უფრო მეტს სწავლობ, ვიდრე ეს შეიძლება ჩვეულებრივ გაკვეთილზე ან თუნდაც რამდენიმე წელიწადში ისწავლო ან შეიტყო კონკრეტულ ადამიანზე, თან ამას აკეთებ სიხარულით, თამაშით. ძალიან საინტერესო მომენტებია, მაშინაც კი, როცა თვითონ ამ პლატფორმას სწავლობ, ცნობისმოყვარეობა უფრო და უფრო გიღვივდება, ცდილობ, რაც შეიძლება მეტი შეიტყო ციფრული კლონის (ავტორის, პერსონაჟისა თუ სხვა ადამიანის) შესახებ. მოსწავლეს შეუძლია სხვასაც აჩვენოს თავისი ნამუშევარი, გამოსცადოს, ალაპარაკოს მის მიერ შექმნილ კიბერ ადამიანთან. თუ რამე არ მოეწონება, ჩაასწოროს, კიდევ უფრო გაამდიდროს პასუხების ბაზა და ა.შ. ძალიან ცოცხალი, შემოქმედებითი პროცესია, რომელიც არ სრულდება, მუდმივ განახლებასა და გამდიდრებას მოითხოვს. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, მართლა ძალიან კარგ ელექტრონულ რესურსად შეიძლება აქციონ ეს პლატფორმა სკოლებმაც და უნივერსიტეტებმაც“.*

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა უკვე დაიწყო პლატფორმის გამოყენება და მარიამ გოჩიაშვილის მიერ შექმნილი ილიაუნის ციფრული თანამშომლები ახლა სტუდენტების „სამსახურში“ არიან. ათასობით სტუდენტს ჩეთბოტი 24-საათიან რეჟიმში პასუხობს კითხვებზე, რომელიც მათ აინტერესებთ – მაგალითად, როდის იწყება სწავლა, ვინ არის კონკრეტული

ციფრული რეალობა

საგნის ლექტორი, როდის დაიწყება არდადეგები და ა.შ. ციფრული თანამშრომელი უნივერსიტეტს დიდ დახმარებას უწევს – დღის განმავლობაში, უამრავი სტუდენტის მიერ დასმულ ერთი და იმავე კითხვას პასუხობს ან გადაამისამართებს იქ, სადაც დეტალურ და ამომწურავ ინფორმაციას მიიღებს.

მარიამი ამბობს, რომ გუნდი, გალაკტიონის გარდა, არაერთ ჩეთბოტზე მუშაობდა და ახლაც მუშაობს, ქმნის როგორც ბიზნესების ჩეთბოტებს, ისე საგანმანათლებლო ტიპის, მუდმივად განახლებად ციფრულ არსებებსაც. პლატფორმა, რომელზეც ეს ჩეთბოტები ეწყობა, თავისთავად, ქართულენოვანია და ჯერჯერობით, ერთადერთია საქართველოში.

ალბათ ყველას აინტერესებს ვინ იქნება შემდეგი?

პროექტის მენეჯერი გვპასუხობს, რომ შემდეგი იქნება არა ადამიანი, არამედ ქალაქი – თბილისი, რადგან გუნდმა, რამდენიმე დღის წინ, კონკურსში გაიმარჯვა და თბილისის ჩეთბოტის შესაქმნელად გრანტი მოიპოვა.

„წარმოიდგინეთ, რას ეტყოდით თქვენს დედაქალაქს... პროექტი ინგლისურენოვანი იქნება და თავს მოიყრის ინფორმაცია თბილისზე, რომელიც შეიძლება აინტერესებდეს როგორც ქართველს, ისე უცხოელს. პროექტის მიზანი კი, თბილისის მაქსიმალური პოპულარიზაციაა საზღვრებს გარეთაც, თუმცა, ამასთან ერთად, ქართველებისთვის ქალაქის ციფრული ვერსიის შეთავაზება, თბილისის, როგორც ცოცხალი ორგანიზმის სახით ჩვენებაა.“ – ამბობს მარიამი.

როგორც გითხარით, გალაკტიონის პოეზიის ციფრულად გასააზრებლად შექმნილმა აპლიკაციამ კი, წელს, ხელახალი სიცოცხლე შეიძინა, რადგან ახლა პირველი ქართული ჩეთბოტი – კიბერ გალაკტიონი – თქვენს მესენჯერშია და თავის ციფრულ მეგობრებს ფეისბუქზე ელის. მისი შემქმნელებისთვის კი, სასიხარულოა, რომ ექვსი წლის წინ ვებგვერდზე ჩაშვებულმა გალაკტიონის ციფრულმა კლონმა უკვე ძალიან ბევრი მეგობარი შემოიკრიბა. მეტიც, რედიზაინზე მუშაობის პროცესში, წერილობით, ბევრი ადამიანის თხოვნა მიიღეს:„დროზე დაებრუნებინათ გალაკტიონი“. ის დაბრუნდა და ახლა ყველასთვის ხელმისაწვდომია, რადგან ტელეფონში, მესენჯერის ღილაკზე ერთი დაკლიკვით, როგორც სხვა მეგობრებს, ისე მისწერთ მეფეპოეტს და იმოგზაურებთ ციფრულ სამყაროსთან შერწყმულ გალაკტიონის სამყაროში, ის კი, ჩვეული უშუალობით გიპასუხებთ – „მადლობა, რომ არ მივიწყებ“! ან სულაც გკითხავთ: „როგორი ღამეებია ახლა თქვენთან?!“ ჩემს კითხვაზე კი: „ბატონო გალაკტიონ, თქვენ პირველი ხართ, დაგვისახელეთ, მეორე პოეტი...“, აქაც პირველმა კიბერ გალაკტიონმა დაუფიქრებლად მომწერა: „რას იტყვი, რომ თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში განვავითაროთ „გალაკტიონოლოგია?“ მე დავეთანხმე, თქვენ რას იტყვით?

Info

www.akhaliganatleba.ge

განათლების სამინისტრო ქოუჩინგის საერთაშორისო ფედერაციასთან ითანამშრომლებს

განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის ფარგლებში, საერთაშორისო და ადგილობრივ ექსპერტებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა უწყვეტ რეჟიმში გრძელდება. სწორედ ამ მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ა(ა)იპ ქოუჩინგის საერთაშორისო ფედერაციას (ICF საქართველო) შორის ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი გაფორმდა, რომელსაც ხელი მოაწერეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, ეკატერინე დგებუაძემ და „ICF საქართველოს“ პრეზიდენტმა, ეკატერინე ბაბუნაშვილმა.

მემორანდუმის მიზანია ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ქოუჩინგის მეთოდოლოგიისა და ინსტრუმენტების დანერგვა საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში დაკომპლექტებული მხარდამჭერი ჯგუფები ინტენსიურად მუშაობენ სხვადასხვა საგნის პედაგოგებთან. სკოლებში შესვლამდე კოორდინატორებმა, საგნობრივმა, ტექნოლოგიების, ინკლუზიური განათლებისა და ლიდერობის ექსპერტებმა ინტენსიური მომზადების კურსი გაიარეს, რაშიც, აქტიურად იყო ჩართული „ICF საქართველო“.

მემორანდუმის ფარგლებში, ასოციაციის ხელშეწყობით, პილოტირების რეჟიმში პროცესი კვლავ გაგრძელდება და მიღებული გამოცდილების საფუძველზე შემდგომი ნაბიჯები დაიგეგმება.

ევროპული კვირეული პროფესიულ განათლებაში

პროფესიული განათლების ევროპული კვირეულის ფარგლებში, ევროპის კომისიის ორგანიზებით, ონლაინ კონფერენცია გაიმართა. პანელურ დისკუსიაში, რომელიც პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციის საკითხებს მიეძღვნა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი, ევროპის განათლების ფონდის დირექტორთან, ჩეზარე ონესტინთან და სხვა საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად, მონაწილეობდა.

თამარ ქიტიაშვილმა თავის გამოსვლაში საქართველოს მიერ პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციისთვის გადადგმულ ნაბიჯებზე ისაუბრა და ამ პროცესში სისტემაში ხარისხის სტანდარტების დანერგვისა და განვითარების მნიშვნელობას გაუსვა ხაზი. მინისტრის მოადგილემ იმ გამოწვევებზეც ისაუბრა, რაც პანდემიის პირობებში ქვეყანაში პროფესიული განათლების კუთხით შეიქმნა,

ასევე შეეხო საქართველოში სპეციალისტთა საერთაშორისო სერტიფიცირებისა და გაცვლითი პროექტების წარმატებულ პრაქტიკას, რაც, მისი შეფასებით, პროფესიული უნარების განვითარებისა და ადგილობრივი ხარისხის ამაღლებისთვის საუკეთესო გზას წარმოადგენს.

„ევროკავშირისა და სხვადასხვა დონორთა მხარდაჭერით ქვეყანაში უკვე დაინერგა ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისი კვალიფიკაციებისა და ხარისხის ჩარჩო, მომზადდა გაცვლითი და ერთობლივი პროგრამების დანერგვის საფუძველი, ასევე, უცხოურ ენათა სწავლების ახალი მოდელი. გვჯერა, რომ საქართველოს შეუძლია საერთაშორისო დონის პროფესიონალები შესთავაზოს გლობალურ ბაზარს“, – განაცხადა თამარ ქიტიაშვილმა.

მინისტრის მოადგილემ პოზიტიურ ნაბიჯად შეაფასა საქართველოში საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობა და იმედი გამოთქვა, რომ ამ კუთხით თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება. მისი თქმით, პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაცია მიზნად ისახავს არა მხოლოდ ქვეყნებს შორის შრომითი მობილობისა და ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერას, არამედ სოციალურ და კულტურულ ინტეგრაციასაც.

შეხვედრის ბოლოს, თამარ ქიტიაშვილმა მადლობა გადაუხადა ევროპის განვითარების ფონდს (ETF) გაწეული დახმარებისთვის და კიდევ უფრო მჭიდრო თანამშრომლობის მზადყოფნა გამოთქვა.

პროფესიული უნარების ევროპული კვირეული მიზნად ისახავს პროფესიული განათლების იმიჯის გაუმჯობესებას. პირველად 2016 წელს გაიმართა ბრიუსელში. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან და სხვა ქვეყნებთან ერთად, ევროპულ კვირეულს საქართველოც შეუერთდა. სხვადასხვა ქვეყნები პროფესიული უნარების კვირეულს ეროვნულ დონეზეც მართავენ. 2020 წლის დეკემბერში პროფესიული განათლების ეროვნული კვირეული საქართველოში დისტანციურ რეჟიმში გაიმართება.

ქობულეთის პროფესიული კოლეჯის „ახალი ტალღა“ რეაბილიტაცია დასრულდა

ქობულეთში მულტიპროფილური პროფესიული კოლეჯის „ახალი ტალღა“ რეაბილიტაცია დასრულდა. განახლდა კორპუსის მთლიანი ფასადი, რომელიც მორგებულია რეგიონის კლიმატურ პირობებს. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, სრულად გამოიცვალა კოლეჯის სამივე ძირითადი შენობის სახანძრო სისტემა.

პროფესიული კოლეჯის ინფრასტრუქტურა 1400 სტუდენტზეა გათვლილი. 2020 წლის საშემოდგომო მიღებაზე მულტიპროფილურმა კოლეჯმა, 23 პროფესიულ პროგრამაზე, 400-ზე მეტი სტუდენტი მიიღო. ადგილობრივ მსხვილ დამსაქმებლებთან პარტნიორობით, კოლეჯი 4 დუალურ პროგრამას ახორციელებს, ტურიზმის, კულინარიისა და შედუღების მიმართულებით.

გარდა ამისა, 2020 წელს, კოლეჯში პირველად დაიწყო ინტეგრირებული პროგრამების განხორციელება 3 პროფესიული მიმართულებით, რომლის გავლის შემდეგაც, სტუდენტები ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ პროფესიულ დიპლომს მიიღებენ. კოლეჯი „ახალი ტალღა“ ასევე აქტიურად ახორციელებს მოკლევადიან მომზადება-გადამზადების პროგრამებს მშენებლობის მიმართულებით.

2020 წლის ბოლოდან, კოლეჯში დაიწყება სახელოსნოებისა და ლაბორატორიების მშენებლობა, სადაც სტუდენტები პრაქტიკული სწავლების კომპონენტს თანამედროვე სტანდარტების შესაბამის გარემოში გაივლიან.

ქობულეთში მულტიპროფილურ პროფესიულ კოლეჯში „ახალი ტალღა“ სარეაბილიტაციო სამუშაოები საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტომ განახორციელა.

21-ე საჯარო სკოლის პროექტი PASCH-ის სკოლებს შორის, მსოფლიოს მასშტაბით, საუკეთესოდ დასახელდა

ქალაქ თბილისის 21-ე საჯარო სკოლის პროექტმა, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ინიცირებული საერთაშორისო პროგრამის „სკოლები – მომავლის პარტნიორები“ ფარგლებში (PASCH), მონაწილე სკოლებს შორის, პირველი ადგილი დაიკავა და, მსოფლიოს მასშტაბით, საუკეთესოდ დასახელდა.

გამარჯვებული პროექტი „ეკო-ტურიზმი“, რომელიც თბილისის 21-ე საჯარო სკოლამ, 2019-2020 სასწავლო წელს, ჰომბურგის ზაარპლაცის გიმნაზიასთან ერთად შეიმუშავა, სხვადასხვა საინტერესო და შემეცნებით აქტივობას მოიცავდა. მათ შორის, ორმხრივი ვიზიტის ფარგლებში, მოსწავლეებმა ორივე ქვეყნის ფლორა-ფაუნა შეისწავლეს და მონაწილეობა მიიღეს ვორკშოფებში, ტურისტული ბილიკების მარკირებისა და ჰერბარიუმების შექმნის პროცესში. ჩართულმა მხარეებმა პროექტის საბოლოო შედეგებზე პრეზენტაციები მოამზადეს და, პროექტის დასასრულს, PASCH-ის ჟიურის წევრებს წარუდგინეს.

პარტნიორულ პროექტში, თბილისის 21-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებთან, პედაგოგებთან და დირექტორთან ერთად, ზაარპლაცის გიმნაზიის დირექტორი იორგერ მათიო, პროგრამის კოორდინატორი სიმონე ლუკასი და ბიოლოგიის მასწავლებელი რალფ დოლგასტი მონაწილეობდნენ.

2020-2021 სასწავლო წელს, პანდემიის პირობებში, ინიციატივა „სკოლები – მომავლის პარტნიორები“, განსხვავებულ თემატიკაზე საინტერესო და მრავალფეროვანი აქტივობებით, ონლაინ რეჟიმში კვლავ აქტიურად გაგრძელდება.

PASCH-ის პროგრამა, რომელიც გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ 2008 წლის თებერვალში დაიწყო, სკოლებს შორის მსოფლიო პარტნიორული ქსელის შექმნისა და ახალგაზრდებში გერმანული ენის მიმართ ინტერესის გაღვივების მიზნით, მსოფლიოს მასშტაბით, 2000 სკოლას აერთიანებს. ინიციატივას გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო უწევს კოორდინაციას, ხოლო მისი განხორციელება უცხოეთის სასკოლო სისტემების ცენტრალურ სააგენტოს, გოეთეს ინსტიტუტის, გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურისა და კულტურის მინისტრთა კონფერენციის (კმკ) პედაგოგიური გაცვლითი სამსახურის ხელშეწყობით ხდება.

სსიპ ქალაქ თბილისის №21 საჯარო სკოლა PASCH-ის პროგრამაში უკვე რამდენიმე წელია მონაწილეობს და სკოლების ჩამონათვალში ყოველთვის მოწინავე ადგილს იკავებს. 2017 წელს თბილისის 21-ე საჯარო სკოლა ლიდერთა სამეულში მოხვდა და შვეიცარიაში, საერთაშორისო კონფერენციაზე მიიწვიეს.

ᲘᲣᲑᲘᲚᲔ

ᲖᲔᲓᲛᲘᲬᲔᲕᲜᲘᲗ ᲞᲣᲜᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ, ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ



ბატონი ზურაბ გოგუაძე საზოგადოებასა და კოლეგებში საკუთარი ხელწერით გამორჩეული, თანამედროვე ინტელიგენტის ყველა ღირსება-თვისებით შემკული ადამიანი და პედაგოგია.

ბატონი ზურაბი დაიბადა 1950 წელს ლანჩხუთის რაიონის ულამაზეს სოფელ აკეთში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1968-1973 წლებში, სწავლობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1973-1974წწ, მუშაობდა ქობულეთის რაიონის დიდვაკის 8-წლიან სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის და ისტორიის მასწავლებლად; 1974-1980 წლებში – ქობულეთის რაიონის სოფელ ჩაისუბნის საშუალო სკოლაში, ისტორიის მასწავლებლად; 1980-1981წწ – იმავე სკოლაში დირექტორის მოადგილედ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის დარგში (ორგანიზატორად) და ისტორიის მასწავლებლად.

1981-2006 წლებში მუშაობდა აჭარის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის კაბინეტის გამგედ, ხელმძღვანელობდა აჭარა-გურიის ისტორიის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების კურსებს. ამავე პერიოდში, ლექციების კურსს კითხულობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორიის კათედრაზე, ისტორიის სწავლების მეთოდიკაში, იმავე კურსებს კითხულობდა სხვადასხვა კერძო ინსტიტუტებში. 1995-2000 და 1999-2005 წლებში მუშაობდა ქ. ბათუმის №22 და №24 საშუალო სკოლებში ისტორიის მასწავლებლად.

2005 წლიდან ბათუმის №15 საჯარო და შპს ლიცეუმ „ევრო – 2000“-ში ისტორიის მასწავლებელია. მთელი ამ ხნის განმავლობაში, ბატონ ზურაბ გოგუაძეს ჩატარებული აქვს ათობით საჩვენებელი საქალაქო გაკვეთილი. მისი პედაგოგიური გამოცდილება იბეჭდებოდა პროფესიულ პერიოდულ გამოცემებში.

ახალგაზრდა თაობების აღზრდისა და განათლების სისტემაში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის ზურაბ გოგუაძე დაჯილდოებულია აჭარის ა/რ-ის განათლების სამინისტროს საპატიო სიგელებით. 2014 წელს ასევე დაჯილდოვდა იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის საპატიო სიგელით.

ჰყავს ორი შვილიშვილი – ზურაბ და გიგა გოგუაძეები, რომლებიც ამჟამად სტუდენტები არიან.

გულწრფელად ვულოცავთ ბატონ ზურაბს საიუბილეო თარიღს, ვუსურვებთ ხანგრძლივ და ბედნიერ სიცოცხლეს, წარმატებას პედაგოგიურ საქმიანობაში.

ᲑᲐᲥᲠᲘ ᲒᲔᲩᲑᲐᲘᲐ
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ

TƏBIƏTI QORUYAQ

ᲡᲔᲕᲓᲐ ᲨᲐᲰᲕᲔᲠᲓᲘᲔᲕᲐ
გარდაბნის №3 საჯარო სკოლის პედაგოგი

Qardabani 3 saylı ictimai məktəbinin 2 b sinfində „Təbiəti qoruyaq“ mövzusunun öyrədilməsi, müəllim: **Şahverdiyeva Sevda**

DƏRSIN PLANI

Fənn: Təbiət
Dərsin adı: Təbiəti qoruyaq
Vaxt: 45 dəq
Sinfin profili: 28 nəfər. Xüsusi təhsilə ehtiyacı olan şagird yoxdur.
Dərsin məqsədi:
✓ Öz biliklərinə əsaslanaraq problemin həlli ilə bğlı fikirlər bildirir.
✓ Təbiətin qorunması haqqında esse yazır.
✓ Meşə yanğınları , ətraf aləmin çirklənməsinin qarşısının alınması haqqında fikir söyləyir.
✓ Toplanan materiallardan istifadə edərək kitab tərtib edirlər.
(Şagirdlər bu tapşırıqları fərdi və qruplarla yerinə yetirirlər)

MTP standartları II.
Şagird ətraf mühitin dərk edilməsində hissiyyət üzvlərinin əhəmiyyətini anlaya bilir.
Şagird təhkükəsiz davranışın qaydalarına əməl edə bilir.
Şagird ətraf mühitə öz münasibətini əks etdirə bilir.
Dərs materialları və resurslar: komputer, dərslik, şəkillər, posterlər, yapışqan, kağız, şagirdlərin rəsmləri və s
Fənnlərarası əlaqə: oxu, incəsənət, riyaziyyat, coğrafiya

Dərsin gedişi:
I. Giriş: Keçmiş dərslə əlaqədar suallar verirəm. „Bizim ətrafımızda təhlükəsizlik“ mövzusuna aid suallar verirəm. Şagirdlər mövzuya aid evdə çəkdikləri şəkillərlə çıxış edirlər. Onlara yoldaşları suallarla müraciət edirlər. Verdikləri cavablara görə də çifahi olaraq qiymətləndirilirlər. Onlar təhlükə və təhlükəsizlik haqqında geniş çıxışlar edirlər – 10 dəq.

II. Əsas fəallıq: Bütün sinfə müraciət edirəm: „Təhlükədən necə qorunmaq olar?“ Onlar qısa olaraq öz fikirlərini söyləyirlər. Sonra onlara „Azərbaycan dili“ dərsliyindən „Ana təbiətin uşaqlara məktubu“ hekayəsini xatırladıram və buna aid suallar verirəm
1. Ana təbiəti narahat edən nə idi?
2. Ana təbiət uşaqlardan hansı köməyi umurdu?
3. Nəyə görə ana təbiət sizdən kömək istəyir?
Bundan sonra Onlara kiçik bir film izlədirəm. Hansı ki,orada meşə yanğınları, torpaq sürüşmələri və yaxud insanlar tərəfindən törədilən fəlakətləri göstərilir – 5 dəq.
Şagirdlər qruplara ayrılırlar „Botaniklər“, „Ədəbiyyatçılar“, „Rizayiyyatçılar“, „Coğrafiyaşünaslar“ və „Ekoloqlar“. Hər qrupda rəssamlar da var. Onlar mövzuya aid şəkillər çəkəcəklər və buna görə də müzakirələr edəcəklər. Hər qrup öz vəzifəsini və adlarının mənasını izah edir və buna aid şeirlər söyləyirlər. Mən söhbəti elə bir yerə gətirirəm ki, onlar meşələrin nədən yanmasını izah edirlər. Şagirdlər izahatlarını həm gürcü, həm də Azərbaycan dilində izah edirlər. Onlar meşələrin nədən yanmasını, ətraf aləmin çirklənməsini, heyvan və bitkilərin nədən məhv olunması haqda danışırlar. Sonra onlara mövzuya aid suallar paylayıram və hər qrup öz mövzuları haqda işləyirlər. „Ədəbiyyatçılar“ bu barədə esse yazır və şəkillər çəkirlər. Onlar yazdıqlarını çəkdikləri rəsmlərdə əks etdirməyə çalışırlar. „Botaniklər“ bitki və heyvanların həyat tərzinin yaxşılaşması haqqında, „Riyaziyyatçılar“ yanğın zamanı insanlara dəyən zərərləri hesablayırlar, „Ekoloqlar“ isə təbiəti necə qorumaq, hansı qaydalara əməl etmək barədə prezentasiyalar hazırlayırlar – 10 dəq.
III. Sonra qruplar **prezentasiyaya** başlayırlar və onlar öz cavablarına uyğun rəsmləri göstərib izah edirlər. Hər qrup ayrı ayrılıqda qiymətlənir – 13 dəq.
Sonra şagirdlərə kiçik bir hekayə oxuyuram. Burada iki balığın çirklənmiş suda necə əziyyət çəkmələri haqqında və iki balaca oğlanın o balıqları saf, təmiz çaya atdıqları barədə hekayə oxuyuram. Şagirdlər təbiətdə baş verən bu kimi hadisələri qeyd edir və Ana təbiətin qorunması haqqında öyrəndiklərini təkrar edirlər. Yığdıqları materialları bir yerə yığıb kitabça düzəldirlər (Bu kitabçanı kiçik sinif şagirdlərinə hədiyyə edəcəklər) – 3dəq.
IV. Dərsin sonunda verilmiş **mövzunun təkrar** etmək və suallara cavab verməyi tapşırıram – 2 dəq.
V. Qiymətləndirmə (qiymətləndimə rubrikası əvvəlcədən hazırlanmışdı) – 2 dəq.

Dərsdə iştirak

Aktiv iştirak edirdi	Məntiqi və düzgün qavrayır	Fikrini saslandırılmış şəkildə təqdim edir	Başqasının fikrinə hörmətlə yanaşır	Danışarkən çətinlik çəkir

Təqdimatın qiymətləndirmə rubrikası

Kriterlər			
Maraqlı giriş			
Tapşırıqların yaradıcı və maraqlı təqdimatı			
Məntiqi söhbətlər			
Auditoriya ilə əlaqə			
Informasiya əldə etmək bacarığı			
Zamandn düzgün istifadə			
Cəmi			

სამეწარმეო განათლება სკოლებში

ევროპის მასშტაბით გამორჩეული ერთ-ერთი სკოლა

მაკა ყიფიანი

9 ნოემბერს, JA Europe-ის ManpowerGroup-თან თანამშრომლობით, ევროპული პროფესიული უნარების კვირეულის ფარგლებში, ყოველწლიური ღონისძიების TESAwards 2020 – „სამეწარმეო სკოლის ჯილდო“ – დაჯილდოების რიგით მე-6 ცერემონია და ვორქშოფი გაიმართა. ღონისძიებაში ევროპის 25 ქვეყნის 29 საუკეთესო სამეწარმეო სკოლის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. საქართველოს 2020 წლის საუკეთესო სამეწარმეო სკოლის სახელით, ონლაინ ღონისძიებას თბილისის №175 საჯაროს სკოლის მეწარმეობის, ეკონომიკისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი **თამარ მორგოშია** ესწრებოდა.

The Entrepreneurial School Award – „სამეწარმეო სკოლის ჯილდო“ ყოველწლიური ღონისძიებაა, სადაც ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან, ჯუნიორ ეჩივმენტის მიერ წარდგენილი კერძო ან საჯარო სკოლები და პროფესიული სასწავლებლები მონაწილეობენ, როგორც წლის საუკეთესო სკოლები სამეწარმეო განათლების კუთხით. TES Award-ის მიზანია, ევროპის მასშტაბით, სკოლებს, დირექტორებსა და მასწავლებლებს დახმარება გაუწიოს, სამეწარმეო სწავლების გამოცდილება გაუზიაროს. ღონისძიებაში მონაწილე სკოლების წარმომადგენლები ესწრებიან სემინარებს და ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას უზიარებენ. მათ გადაეცემათ 123 ქვეყანაში ცნობადი სერტიფიკატი და საუკეთესო სამეწარმეო სკოლის ჯილდო.

JA Europe-ის მიერ ორგანიზებული TES Awards ხელს უწყობს პროფესიულ, კერძო და საჯარო სკოლებს, მეტი ყურადღება დაუთმონ მეწარმეობის სწავლებას, რათა ახალგაზრდები მომავალში უკეთ იყვნენ მომზადებულები სამუშაოს შესასრულებლად. ღონისძიების ორგანიზატორების (ManpowerGroup და JA Europe) აზრით: *„გამომდინარე იქიდან, რომ ხვალინდელი ლიდერები დღევანდელი მოსწავლეები არიან, მასწავლებლები თამაშობენ კრიტიკულად მნიშვნელოვან როლს საზოგადოების მტკიცე მომავლის ჩამოყალიბებაში. ახალი ციფრული რეალობა აერთიანებს უნარ-ჩვევების რევოლუციას, რომელთანაც ყველამ უნდა მოვახდინოთ ადაპტირება, უნდა დავეხმაროთ ჩვენს ნიჭიერ ახალგაზრდებს, მოემზადონ ამისთვის და მუდმივად გაზარდონ მათი დასაქმების შესაძლებლობები. ჩვენ მხარს ვუჭერთ მასწავლებლებს, როგორც ექსპერტებს, გახდნენ ფასილიტატორები, რათა დაეხმარონ მოსწავლეებს განავითარონ ის უნარები, რაც მათ სჭირდებათ როგორც ახლა, ისე მომავალში“.*

ელენე რთველაძე, ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველოს მარკეტინგის მენეჯერი და პროექტის „სამეწარმეო განათლების მხარდაჭერა ევროპასა და ევრაზიაში“ კოორდინატორი: *„სამეწარმეო სკოლების დაჯილდოების ღონისძიებაზე, რომელიც ევროპული პროფესიული უნარების კვირეულის ფარგლებში იმართება, საქართველოს სახელით, უკვე მესამე წელია, ვმონაწილეობთ. სასიხარულოა, რომ თბილისის №175 საჯარო სკოლა ევროპის 25 ქვეყნის 39 საუკეთესო სამეწარმეო სკოლებს შორის დასახელდა.*

ამ სკოლაში, უკვე მრავალი წლის განმავლობაში, არჩევითი საგნის სახით, ისწავლება ჯუნიორ ეჩივმენტის პროგრამა „მეწარმეობის საფუძვლები“. სწავლების პროცესს ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის „სამეწარმეო განათლების მხარდაჭერა ევროპასა და ევრაზიაში“ ფარგლებში, უწევს მონიტორინგს, ამზადებს მასწავლებლებს და ატარებს სხვადასხვა ღონისძიებებსა და კონკურსებს პროგრამაში მონაწილე მოსწავლეებისთვის.“

ქალბატონი ელენე ამბობს, რომ წლების განმავლობაში, №175 საჯარო სკოლა, პროგრამის ფარგლებში, წარმატებით ახორციელებდა სხვადასხვა პროექტებს. წელსაც მეწარმეობის საფუძვლების სწავლების ფარგლებში შექმნილი მოსწავლეთა კომპანია „Helmet Vision“ წლის საუკეთესო კომპანიად დასახელდა და, საქართველოს სახელით, მონაწილეობდა ევროპის წლის საუკეთესო მოსწავლეთა კომპანიების კონკურსში, „City Foundation“-ის ნომინაციაშიც გაიმარჯვა, როგორც „მომხმარებელზე ორიენტირებულმა კომპანიამ“. სნორედ მრავალწლიანი წარმატებული პროექტებისა და მასწავლებლის, ქალბატონი თამარ მორგოშიას თავდაუზოგავი შრომის შედეგია ის, რომ წელს საქართველოს საუკეთესო სამეწარმეო სკოლა გახდა თბილისის №175 საჯარო სკოლა და ევროპის საუკეთესო სამეწარმეო სკოლებს შორისაც დასახელდა. რა თქმა უნდა, სკოლისთვის TES Awards – სამეწარმეო სკოლის ჯილდო მნიშვნელოვანი და სასიხარულოა, ფაქტობრივად, აღიარებას ნიშნავს, რომ ის საუკეთესოა სამეწარმეო განათლების კუთხით როგორც ქვეყანაში, ასევე ევროპის მასშტაბით.

175-ე საჯაროს სკოლის მეწარმეობის, ეკონომიკის და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი თამარ მორგოშია ამბობს, რომ მათი სკოლა 2008 წლიდან თანამშრომლობს ჯუნიორ ეჩივმენტ საქართველოსთან. ყოველწლიურად ვითარდებიან და იზრდებიან, ცდილობენ, ყოველთვის განსხვავებული და საინტერესო პროდუქტი შექმნან. სხვადასხვა კონკურსებში გამარჯვების მიუხედავად, პირველად დავსახელდნენ, როგორც საუკეთესო სამეწარმეო სკოლა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია არა მარტო მისთვის ან სკოლისთვის, არამედ ქვეყნისთვისაც. *„შეიძლება ეს აღიარება განსაკუთრებულად არაფერს ცვლის, თუმცა, უთუოდ სასიხარულოა, რომ გაფასებენ. ეს ჩემთვის სტიმულია, რათა უფრო მეტად მოვინდომო და ვიშრომო, ჩემს მოსწავლეებთან ერთად. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო პანდემიის გამო, ევროპის საუკეთესო სამეწარმეო სკოლების 2020 წლის დაჯილდოების მეორე ნაწილი ვორქშოფებს დაეთმო, სადაც უცხოელმა კოლეგებმა ჩვენ, მიწვეულ მასწავლებლებს, გამოცდილება გაგვიზიარეს, რაც ძალიან საინტერესო იყო და ვფიქრობ, დამეხმარება ჩემი პრაქტიკის განვითარებაში.“* – გვითხრა ქალბატონი თამარმა.

მეწარმეობის საფუძვლების სწავლების ფარგლებში მას, მოსწავლეებთან ერთად, საკმაოდ ბევრი წარმატებული პროექტი აქვს განხორციელებული. განსაკუთრებით გამოარჩევს კომპანია „Helmet Vision“, რომლის გამოც ჯუნიორ ეჩივმენტ საქართველომ 175-ე სკოლა ევროპის საუკეთესო სამეწარმეო სკოლების დაჯილდოებაზე წარადგინა.

2020 წელს მოსწავლეებმა ჩამოაყალიბეს მოსწავლეთა კომპანია „Helmet Vision“ , რომლის ფარგლებშიც შექმნეს პროდუქტი – „ჭკვიანი ჩაფხუტი“, მეხანძრის სიცოცხლის გადარჩენისთვის. ჩაფხუტზე დატანილი სენსორები მეხანძრეს დაკვამლიანებულ გარემოში გზის გაკვლევაში ეხმარება.

ამ პროექტით მოსწავლეებმა, თებერვალში, ესტონეთის საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვაზე, „ყველაზე ინოვაციური კომპანიის“ ჯილდო აიღეს. აპრილში კი, ჯუნიორ ეჩივმენტ საქართველოს კონკურსზე, „საქართველოს 2020 წლის საუკეთესო მოსწავლეთა კომპანიად“ აღიარეს. კომპანია „Helmet Vision“-მა წარადგინა საქართველო პორტუგალიაში, „ევროპის – 2020 წლის საუკეთესო მოსწავლეთა კომპანიების“ კონკურსზე, სადაც გაიმარჯვეს ნომინაციაში „მომხმარებელზე ორიენტირებული კომპანია“. წარმდგენი იყო „City Foundation“. მოსწავლეთა კომპანიის წევრები სერტიფიკატებით და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

ქალბატონ თამარს მიაჩნია, რომ სკოლაში საგნის მეწარმეობის საუძვლების“ სწავლება მნიშვნელოვანი და, ამავე დროს, უნიკალური მეთოდია, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, მიღებული განათლება რეალური ბიზნეს პრობლემების გადასაჭრელად გამოიყენონ. საგნის სწავლების ფარგლებში, მოსწავლეები გადიან ჯუნიორ ეჩივმენტის პროგრამას „მოსწავლეთა კომპანია“, სადაც ისინი სწავლობენ, როგორ უნდა დააფუძნონ საკუთარი ბიზნესი და მოახდინონ მისი ოპერირება, მუშაობენ იდეების გენერირებაზე, იკვლევენ ბაზარს, ირჩევენ დირექტორთა საბჭოს, ასევე, იზიდავენ სააქციო კაპიტალს, აფინანსებენ, ავითარებენ და ბაზარზე გააქვთ პროდუქტი ან მომსახურებას არჩევანის მიხედვით აკეთებენ, გასცემენ ხელფასს, წლის ბოლოს კი, ამზადებენ ფინანსურ ანგარიშგებას აქციონერებისთვის და ახდენენ კომპანიის ლიკვიდაციას, რადგან ეს სასწავლო პროექტია და მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში ხორციელდება.

პროგრამის მიზანია, მოსწავლეებმა გამოიმუშაონ მეწარმეობის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რაც მომავალში მათ თავის დამკვირდებაში დაეხმარებათ, დაანახოს თავისუფალი მეწარმეობის ღირსებები, გაუჩინოს პროფესიონალად ჩამოყალიბების სურვილი, აქციოს ისინი თავისუფალ მოქალაქეებად დემოკრატიულ საბაზრო ეკონომიკის საქართველოში.

მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა, გარდა იმისა, რომ პროექტეზე მუშაობისას გამოიმუშავეს გუნდური მუშაობის, პრობლემების გადაჭრის, კომუნიკაციის, მარკეტინგის, ოპერირების, ფინანსების მართვის უნარები, ასევე დაეუფლნენ ისეთ უნარებს, რამაც მათი მომავალი პროფესია განსაზღვრა. მათ იმ მიმართულებით გააგრძელეს უნივერსიტეტში სწავლა, რა პოზიციაც კომპანიაში ეკავათ. მაგალითად, ერთ-ერთი კომპანიის HR მენეჯერი – **თამარ მაზმიშვილი** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა.

კომპანიის „skill board“ წევრები ფიქრობენ, დაარსონ თავიანთი სტარტაპ კომპანია და დაიწყონ რეალური ბიზნეს საქმიანობა. სკოლაში სწავლისა და მუშაობის პროცესში მათ გავლილი აქვთ ყველა დეტალი, რაც საჭიროა კომპანიის ფუნქციონირებისათვის, ასევე, გათვლილი აქვთ ერთი წლის სავარაუდო ბიუჯეტი და რისკებიც მინიმუმამდე აქვთ დაყვანილი.

არჩევითი საგნის – „მეწარმეობის საფუძვლების“ შესწავლისადმი დაინტერესება სკოლის მოსწავლეების მხრიდან ძალიან დიდია.

მარიამ ფარქოსაძე, თბილისის 175 საჯარო სკოლის კურსდამთავრებული, ამავე სკოლის კომპანიის „Helmet Vision“ CEO გენერალური მენეჯერი: *„2019 წელს, სკოლაში, მეწარმეობის საფუძვლების შესწავლა დავიწყეთ. გადავწყვიტეთ, შეგვექმნა მოსწავლეთა კომპანია. ჩემი მეგობრის,* ***გაბრიელ ახსაბაძის*** *ძალიან კარგი იდეის ირგვლივ 4 მოსწავლე, ჩვენს მასწავლებელთან – თამარ მორგოშიასთან ერთად, გავერთიანდით და, სულ მალე, იდეა რეალობად ვაქციეთ. საკმაოდ საინტერესო იყო სამუშაო პროცესი, რის შედეგადაც საბოლოო პროდუქტი – „ჭკვიანი ჩაფხუტი“ შევქმენით, რომელმაც არაერთი წარმატება მოგვაპოვებინა.*

მოსწავლეთა კომპანიაში „Helmet Vision“ მუშაობის დროს ვერც კი ვაცნობიერებდი, რაოდენ დიდი გამოცდილება შევიძინე და როგორ გავიზარდე, გასული ერთი წლის განმალობაში, თუმცა, როდესაც უნივერსიტეტში ეკონომიკის საფუძვლების, თეორიის შესწავლა დავიწყდე, მივხვდი, რომ ეს უკვე მქონდა პრაქტიკაში გამოყენებული. თანაკლასელებთან ერთად, მუდმივად გვიწევდა პრეზენტაციების მომზადება, საჯაროდ გამოსვლა, უცხოელებთან აქტიური კომუნიკაცია, რაც მოსწავლეთა კომპანიის თითოეული წევრისთვის საუნივერსიტეტო ცხოვრების წარმატების საფუძველი გახდა. პროდუქტზე მუშაობისას ძალიან ბევრი დაბრკოლება შეგვხვდა, ზოგი გადავლახეთ, ზოგი ვერა, ბევრ შეცდომებსაც ვუშვებდით, თუმცა, ამ შეცდომების გამოსწორებით ერთი ნაბიჯით წინ მივიწევდით. მიზნის მისაღწევად ყველანი ერთად ვშრომობდით, ვუსმენდით ერთმანეთს და დაძაბულ მომენტებშიც კი ვინარჩუნებდით სიმშვიდეს, რის შედეგადაც ვისწავლეთ გუნდური მუშაობა. ამ ყველაფერმა როგორც ჩემს პროფესიულ, ისე პიროვნულ განვითარებას შეუწყო ხელი. ახლა, ყველანი ვცდილობთ, ის უნარები, რომელიც სკოლაში მოსწავლეთა კომპანიამ „Helmet Vision“ შეგვძინა, პოზიტიური საქმის კეთებისკენ მივმართოდ“.

სკოლები პანდემიის პირისპირ

როგორ იცავს სახელმწიფო მასწავლებლებს კოვიდ საფრთხეებისგან

ირაკლი თავაძე

დაახლოებით ერთი კვირაა, მთლიანად დისტანციურ სწავლებაზე გადავიდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 32-ვე სკოლა, რომლებიც ონლაინ რეჟიმში 24 ნოემბრამდე იქნებიან, მერე კი ეპიდემიური ვითარების შესაბამისად იმოქმედებენ. ამ ფაქტს წინ უსწრებდა ანალოგიური ნაბიჯი მუნიციპალიტეტის ორ საჯარო სკოლაში, ერთმანეთის მეზობლად მდებარე სოფლებში – ზემოხეთსა და კოხნარში, რომლებიც ერთ დღეს გადაიყვანეს დისტანციურ სწავლებაზე. მიზეზი ერთ-ერთი მასწავლებელია, რომელსაც კორონავირუსი დაუდასტურდა. ის სოფელ კოხნარში ცხოვრობს და ორივე სკოლაში მუშაობს.

ზემოხეთის საჯარო სკოლაში მისი სამუშაო საათები ორ დღეზეა გადანაწილებული. ბოლოს იქ 5 ნოემბერს იყო, ვირუსის პირველი ნიშანი – დაბალი სიცხე კი - მეოთხე დღეს გამოუვლინდა, რაც, საბოლოოდ, კოვიდის დიაგნოზით დასრულდა.

ბუნებრივია, ამის შესახებ ჯანდაცვის სექტორის სათანადო რგოლმაც გაიგო, რომელიც მყისიერად დაუკავშირდა ზემოხეთის საჯარო სკოლის დირექციას და მისცა რეკომენდაცია, სკოლა დისტანციურ რეჟიმზე, პერსონალი კი თვითიზოლაციაში გადასულიყო. რეკომენდაციით, დისტანციური რეჟიმი 12 დღე უნდა გაგრძელებულიყო. ეს ვადა 17 ნოემბერს ამოიწურა, თუმცა ამასობაში სხვა ბრძანებამ მოუსწრო, საყოველთაო დისტანციური სწავლების შესახებ.

სექტემბერში, სასწავლო სეზონის დაწყებისას, უკვე ვწერდით ამ სკოლის შესახებ, რომ ის მომზადებული შეხვდა სწავლის დაწყებას – მუნიციპალიტეტმა დროულად მოამარაგა სკოლა დეზობარიერებით, სანიტაიზერებით, სადეზინფექციო ხსნარებით, თერმომეტრებით თუ სხვა აუცილებელი საშუალებებით, რომლებიც დროულად განთავსდა კონკრეტულ ადგილებში. თავად სკოლამ საკუთარი ხარჯებით შეიძინა სადეზინფექციო ხსნარის დამატებითი მარაგი, პირადი ჰიგიენის დაცვისთვის აუცილებელი საშუალებები და სხვა რეკომენდაციებსაც ზედმიწევნით იცავენ: დილით ყველა მასწავლებელი თუ მოსწავლე გადის თერმოსკრინინგს, მასწავლებლები, შენობაშიც და ეზოშიც, პირბადით გადაადგილდებიან და სხვა.

სამწუხაროდ, ქვეყანაში ვირუსის შიდა გავრცელება უკვე ისეთ მასშტაბზეა, დასნებოვნების წყაროს ძებნამ ჯერ კიდევ 3-4 თვის წინ დაკარგა აზრი. ამიტომ ვერც იმ მასწავლებლის პირველწყაროზე გეტყვით რაიმეს, რომელიც, სხვათა შორის, ორი მცირეწლოვანი ბავშვის დედაა. წყაროს იქნებ დიდი ძებნა არც სჭირდება, რადგან თავად კოხნარი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ერთ-ერთი ყველაზე ცხელი წერტილია ვირუსის გავრცელების აღმავალი დინამიკით. საბედნიეროდ, ის მასწავლებელი საჯარო სივრცეში ზედმიწევნით იცავდა პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებებს და სკოლის შენობაში პირბადით იმყოფებოდა. სავარაუდოდ, ზემოხეთში ამან გადაარჩინა მასთან კონტაქტში მყოფი პირებიც და არავის – არც მასწავლებელს და არც მოსწავლეს არანაირი გართულება არ ჰქონია. თუმცა, ცხადია, ამ ფაქტმა სოფელი ნამდვილად შეაშფოთა. ზემოხეთმა ანალოგიური მღელვარება ივლისშიც განიცადა, როცა ბათუმიდან ამოსულ სტუმარს კოვიდ-ვირუსი აღმოაჩნდა, ოღონდ, საბედნიეროდ, მასთან კონტაქტში მყოფი პირები გადარჩნენ. მაშინ იმათ ტესტები აუღეს – 15-მდე კაცი შეამოწმეს, ამჯერად კი მსგავსი არაფერი მომხდარა, რაც ცოტა უცნაური ჩანს – პროტოკოლის მიხედვით, ვინმეს თუ რამე სიმპტომი აღმოაჩნდება, მერე შევამოწმებთო! ვაიდა, შემოწმებამდე იმან სხვას გადადო? სამწუხაროდ, ამის ფაქტებიც ბლომადაა და ხომ არ აჯობებს, წინასწარვე დავიჭიროთ თადარიგი, თუ უკვე გადატვირთულ სამედიცინო სექტორს ამის რესურსი აღარ გააჩნია? უცნაურია ისიც, რომ მოთხოვნის მიუხედავად, სკოლაში დღემდე არ ჩატარებულა სადეზინფექციო სამუშაოები. დირექცია ახლა ამას საკუთარი ძალებით აპირებს.

გვესმის, რომ მთავრობა მოგვიწოდებს, ვირუსთან თანაცხოვრება ვისწავლოთო; გვესმის, რომ ქვეყანა შვედური მოდელისა და ე.წ. ჯოგური იმუნიტეტისკენ გადაიხარა, მაგრამ ეს გამოსავალზე მეტად თავის მართლება და შეცდომების გადაფარვის მცდელობა ხომ არაა? შვედები თავად აღიარებენ, რომ მათი მიდგომა ბოლომდე მართებული არ აღმოჩნდა, თუმცა იმათ გამართული სამედიცინო სექტორი აქვთ, ჩვენთან კი უკვე ისეა გადატვირთული, თავად ექიმებიც ამბობენ, საავადმყოფოებში ადგილები არ გვაქვსო; სასწრაფოს ეკიპაჟები გამოძახებებზე ვერ მიდიან და ექიმები თუნდაც ონლაინ-კონსულტაციებს ვერ აუდიან. ან ბავშვებს მაინც რატომ ვაქცევთ ამ ჯოგის ნაწილად – განა მათი დაცვა უპირველესი პრიორიტეტი არ უნდა იყოს? ისეთი ჩაკეტვა და სრული კარანტინი, რაც გაზაფხულზე იყო, ნამდვილად არაა გამართლებული, მაგრამ სკოლების და უმაღლესი სასწავლებლების ონლაინ რეჟიმზე გადაყვანა ხომ შეიძლება, რატომ ჯიუტობს ამაზე ხელისუფლება? ამ ფონზე კიდევ უფრო გაუგებარია საბავშვო ბაღებში სწავლის დაწყება, რაც დიდ ქალაქებში უკვე შეწყვიტეს – გვესმის, რომ წინა თუ ახლანდელი ხელისუფლებების მიერ ნაშენი ასობით საწარმოს გუგუნის ჩახშობა არ გინდათ და ამის წინააღმდეგი არა ვართ, მაგრამ საბავშვო ბაღი რომელი პროდუქციის შემქმნელია, მისმა გაჩერებამ ეკონომიკა რომ ჩამოშალოს? თუმცა, თავად ეს მიდგომაც – შეზღუდვებით ეკონომიკა თავზე დაგვენგრევაო, არასწორი გვგონია. მხოლოდ ორიოდ მაგალითს შეგახსენებთ: ცოტა ხნის წინ „აჭარა-ტექსტილი“ გაჩერდა, რადგან ერთბაშად 130-ზე მეტ თანამშრომელს აღმოაჩნდა ვირუსი, თუმცა პირველი შემთხვევებისას, ზემოაღნიშნული მიზეზით, არ გააჩერეს, ბოლოს კი მათი კონტაქტები გურია-სამეგრელოშიც დაფიქსირდა, რადგან ამ რეგიონებიდან ბევრი თანამშრომელი ჰყავდათ; ორიოდ დღის წინ „საქნახშირიც“ გაჩერდა, სადაც 144 თანამშრომელი აღმოჩნდა ინფიცირებული! როგორც ვხედავთ, ვირუსის ფართოდ გავრცელების პირობებში ეკონომიკის კონკრეტული სუბიექტები მაინც იკეტება და ბარემ ეს პროცესი ისე წარიმართოს, ჯანმრთელობასაც გავუფრთხილდეთ და რაღაც დონეზე წარმოებაც შევინარჩუნოთ, დისტანციური მუშაობით თუ სხვა მიდგომებით.

ვირუსის გავრცელება სადაც არაა იმდენად ფართო (თუმცა ასეთი ადგილი დღეს საქართველოში ნაკლებად გვეგულება), სასწავლო დანესებულებებს იქ თუ არ გადაიყვანენ დისტანციურ სწავლებაზე, კოხნარის მსგავს აქტიურ ზონებში ხომ შეიძლება ამის გაკეთება და რატომ ველოდებით მაინცდამაინც ვირუსის დაფიქსირებას? კოხნარის სკოლა რომ დისტანციურზე ყოფილიყო და მასწავლებლები – თვითიზოლაციაში, მაშინ არც ის მასწავლებელი ამოვიდოდა ზემოხეთში. როცა რომელიმე სოფელში ასე აქტიურად ვრცელდება ვირუსი, ხომ შეიძლება, მხოლოდ იქ გამკაცრდეს ზომები – თუნდაც შიდა გადაადგილება, სარიტუალო სუფრები და ასე შემდეგ? არადა, მოარული ხმებით, კოხნარში ვირუსის ასე გავრცელებას იმასაც მიაწერენ, რომ ერთ-ერთ პირველ ინფიცირებულს ბევრი კონტაქტი ჰქონია, მათ შორის, თვით სარიტუალო სუფრაზე ყოფნით. კოხნარი მუნიციპალიტეტში, მოსახლეობის რაოდენობით, ყველაზე დიდი საკრებულოა, ხოლო ამ ხეობის სამი საკრებულოდან ერთადერთია, სადაც ჯერჯერობით ვირუსია გამოვლენილი. ვფიქრობთ, სწორედ ასეთ ადგილებშია გასატარებელი „წერტილოვანი შეზღუდვები“, რაც აქ ჯერ არ ჩანს. იქნებ სწორედ მსგავსი მიდგომების გამოა, რომ ამ ერთი ციდა ქვეყანამ, რომელიც გაზაფხულზე აკრძალვა-ჩაკეტვებით მართლაც წარმატებით გაუმკლავდა ვირუსის გავრცელებას, 18 ნოემბრის მდგომარეობით ინფიცირებულთა ოდენობით უკვე კოვიდ-19-ის სამშობლოს, 1.5-მილიარდიან ჩინეთსაც გადაუსწრო? ან მასწავლებლები და სკოლის პერსონალი რატომ არ შედის იმ კატეგორიაში, რომლის პერიოდული ტესტირებაც სავალდებულოა, როგორც ექიმების, პოლიციის და რიგი საჯარო სამსახურებისა? მით უფრო – დისტანციურ სწავლებაზეც თუ არ გადაგყავს. პედაგოგები არ შედიან რისკ-ჯგუფში თუ მასობრივად ხალხმრავალ ადგილებში არ უწევთ ყოფნა? ექიმებს სამსახურებრივად ევალებათ ინფიცირებულებთან კონტაქტი, ანუ მათი რისკ-ფაქტორი ვერანაირად ვერ შემცირდება, პედაგოგებს კი ეს არ ევალებათ და რატომ ვწირავთ ამ ხალხს? როგორც დავადგინეთ, პერსონალის მხოლოდ 20 პროცენტზეა ტესტირება სავალდებულო, თუმცა ზემოხეთის სკოლაში ის 20 პროცენტიც დღემდე არავის შეუმოწმებია. არადა, მათ შორის ქრონიკული დაავადების მქონე, ანუ რისკ-ჯგუფში შემავალი პერსონაც არის. ისე, ასეთი დაყოფაც არ გვგონია სწორი: ვაიდა, პერსონალში 20 პროცენტზე მეტია რისკ-ჯგუფში შემავალთა ოდენობა, სკოლამ მათ შორის არჩევანი როგორ უნდა გააკეთოს? სახელმწიფოს გადასახადს ხომ ყველა ერთნაირად უხდის და ის რატომ მოითხოვს ასეთ დიფერენცირებას?

> ✓ **რატომ არ შედიან მასწავლებლები და სკოლის პერსონალი იმ კატეგორიაში, რომლის პერიოდული ტესტირებაც სავალდებულოა, როგორც ექიმების, პოლიციის და რიგი საჯარო სამსახურების? მით უფრო, დისტანციურ სწავლებაზეც თუ არ გადაგყავს. პედაგოგები რისკ-ჯგუფში არ შედიან თუ ხალხმრავალ ადგილებში არ უწევთ ყოფნა?**
>
> ✓ **პერსონალის მხოლოდ 20 პროცენტზეა ტესტირება სავალდებულო, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ რისკ-ჯგუფში შემავალთა ოდენობა 20 პროცენტზე მეტია, სკოლამ მათ შორის არჩევანი როგორ გააკეთოს? ასეთი დაყოფაც არ გვგონია სწორი.**

როგორია ზოგადი მდგომარეობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ამაზე ადგილობრივი რესურსცენტრის ხელმძღვანელი **შორენა სიხარულიძე** გვესაუბრება, მან სხვა საინტერესო ფაქტებიც ახსენა სკოლების ინტერნეტიზაციასთან და ბავშვების მიერ პირბადეების ტარებასთან დაკავშირებით:

ჯანდაცვის სამინისტროს ბრძანებით, მუნიციპალიტეტის 32-ვე სკოლა – 31 საჯარო და 1 კერძო, სამრევლო სკოლა, 24 ნოემბრამდე, გადასულია დისტანციურ სწავლებაზე, რაც განპირობებულია ეპიდემიოლოგიური ვითარებით. ვფიქრობ, დროულად გადავედით, რადგან მეორე დღესვე 5 ისეთ სკოლაში დაფიქსირდა ვირუსი, სადაც მანამდე არ იყო გამოვლენილი. იმ სკოლებში ვირუსი გამოუვლინდა როგორც მასწავლებელს, ასევე მოსწავლესა და მშობელს.

დღეისათვის ვირუსის გავრცელების დინამიკა კვლავ აღმავალია, იზრდება ინფიცირებულთა რიცხვი, თუმცა სკოლების წარმომადგენლებში ჯერჯერობით არ ყოფილა ახალი შემთხვევები. ამიტომ ვიმედოვნებ, რომ 24 ნოემბრისთვის მოხერხდება ვითარების გამოსწორება და შევძლებთ სასწავლო პროცესის საკლასო ოთახებში აღდგენას. სამწუხაროდ, ახლანდელი მდგომარეობა, ანუ ონლაინ სწავლების რეჟიმი, გარკვეულ სკოლებში პრობლემებს გვიქმნის – მაღალმთიან სოფლებში ინტერნეტი საერთოდ არ გვაქვს და ასეთ სკოლებში სხვაგვარი მუშაობა მიმდინარეობს მოსწავლეებთან.

⇨ თუ ტარდება მასწავლებელთა საყოველთაო ტესტირება ?

ჩემი ინფორმაციით, საყოველთაო ტესტირება არ ტარდება, თუმცა მიმდინარეობს ინფიცირებულთან კონტაქტში მყოფი ყველა მასწავლებლის, მოსწავლისა და მშობლის შემოწმება. მათთან მიმართებაში ადგილობრივი ჯანდაცვა უფრო მეტ ყურადღებას იჩენს – მათ აქვთ საკუთარი პროტოკოლი, როდისაა ეს ვირუსი გადამდები და ასე შემდეგ. აქედან გამომდინარე, არც ერთი მასწავლებელი, მოსწავლე და მშობელი არ დარჩენილა უყურადღებოდ, რათა დროულად აღმოუჩინონ დახმარება. თუმცა, საბედნიეროდ, სკოლის ტერიტორიაზე ვირუსის გადადების შემთხვევები თითქმის არ გვაქვს, რაც იმედით მავსებს, რომ რეგულაციების დაცვა ძალიან შველის პრევენციას. პედაგოგებიც ზედმიწევნით იცავენ ამ რეგულაციებს, ოღონდ არის ერთი მნიშვნელოვანი უხერხულობა: ბავშვებს არ ევალებათ პირბადის ტარება, რაც, ცხადია, მოსწავლეებს შორის გადადების საფრთხეს ქმნის. მართალია, თვითონ საკლასო ოთახში დისტანცია დაცული გვაქვს, მაგრამ მის გარეთ ამის გაკონტროლება ცოტა ძნელია. მართალია, მცირეხნიანი შესვენებები გვაქვს, მაგრამ ამ დროს მოსწავლეებს შორის კონტაქტი მაინც არის.

უმეტეს შემთხვევებში, ჩვენთან ბავშვების დაავადების წყაროს მათი მშობლები წარმოადგენენ – ზოგი საზოგადოებრივი ტრანსპორტის მძღოლია, ზოგი სხვა რეგიონში მუშაობს, ზოგს მიმოსვლა უწევდა დიდ ქალაქებში... მასწავლებელთა დაავადების წყაროებიც უმეტესად მათი ოჯახის წევრები არიან, თუმცა, როგორც ზემოთ გითხარით, ჯერ სკოლაში შიდა გადადების შემთხვევები არ გვაქვს.

⇨ თუმცა, როგორც ვიცი, ზემოხეთის სკოლაში არც სადეზინფექციო სამუშაოები ჩატარებულა და არც იმ ინფიცირებული მასწავლებლის კონტაქტები შეუმოწმებიათ

იმ მასწავლებელსაც მეუღლისგან გადაედო, რომელიც მიკროავტობუსის მძღოლია. ორივე სოფლის სკოლა მაშინვე გადავიყვანეთ დისტანციურ რეჟიმზე – ბევრად უფრო ადრე, ვიდრე მთელ რაიონში გამოცხადდებოდა ანალოგიური მდგომარეობა. სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, ჩაუტარდა თუ არა დეზინფექცია ზემოხეთის სკოლას, მაგრამ სწავლის დაწყებამდე აუცილებლად ჩაუტარდება, ამის გაკეთება სკოლასაც შეუძლია საკუთარი ძალებით, რადგან ხსნარი ყველას დაურიგდა, მაგრამ, ეტყობა, ურჩევნიათ, ეს სპეციალისტებმა გააკეთონ სპეციალური გამაფრქვეველი აპარატურით. არც ერთი სკოლა არ დარჩება დეზინფექციის ჩატარების გარეშე, თუმცა ამას ადგილობრივი პერსონალი ისედაც აკეთებდა ყოველდღიურ რეჟიმში. ამ მიზნით, იმავე ზემოხეთის სკოლაში, სწავლის დაწყების წინ, სველი წერტილებიც მოწესრიგდა, რადგან არ იყო სათანადო დონეზე.

Info

www.akhaliganatleba.ge

„მეცნიერება კაპიტანია“ – „ევროპელ მკვლევართა ღამის“ გამარჯვებული პროექტი

მეცნიერების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ევროკავშირის პროგრამის „Horizon 2020“ მარი სკლადოვსკა-კიურის (MSCA) კონკურსის „ევროპელ მკვლევართა ღამის“ გამარჯვებული პროექტის „მეცნიერება კაპიტანია“ განხორციელებას იწყებს.

აღნიშნული პროექტით საქართველო საერთო ევროპულ ფესტივალს „ევროპელ მკვლევართა ღამეს“ უერთდება, რომელშიც ევროკავშირისა და ჰორიზონტი 2020-ის ასოცირებული 30 ქვეყანა მონაწილეობს. 2020 წლის 27-28 ნოემბერს, პროექტის „მეცნიერება კაპიტანია“ ძირითადი ღონისძიებები – ფართომასშტაბიანი, მრავალდარგობრივი, შემეცნებითი, სახალისო, კულტურული, სპორტული აქტივობები თბილისში, თელავში, ქუთაისში, ბათუმში, ახალციხესა და ზუგდიდში დისტანციურად ჩატარდება. ისტორიაში პირველად, საქართველო გამოჩნდება ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და „ჰორიზონტი 2020“ პროგრამის ასოცირებული ქვეყნების მასშტაბით სინქრონულ რეჟიმში მიმდინარე საფესტივალო ღონისძიებების რუკაზე, რომელიც ფესტივალის „ევროპელ მკვლევართა ღამე“ სპეციალურ ვებგვერდზე განთავსდება.

„მეცნიერება კაპიტანია“ მეცნიერების, როგორც საზოგადოების ყველა ფენის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილის წარმოჩენასა და ფართო საზოგადოებაში მეცნიერების პოპულარიზაციას ემსახურება.

პროექტით გათვალისწინებულია წინარე ღონისძიებებიც, კერძოდ, მოთხრობების კონკურსი სტუდენტებისთვის – „O Captain! My Captain our Scientific trip here starts“; პიესების კონკურსი მარია სკლადოვსკა-კიურის ცხოვრების შესახებ, სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის; კონკურსი სამეცნიერო თემატიკაზე მუსიკალური კომპოზიციისა და ნახატის შესაქმნელად; „ღია ლაბორატორიებისა და მუზეუმების“ ორგანიზება სკოლის მოსწავლეებისთვის; ტრენინგი „ინტერსექტორული თანამშრომლობის შესაძლებლობების მხარდაჭერა კვლევასა და ინდუსტრიას შორის“ Twinning-ის მხარდაჭერით და ა.შ.

პროექტის განხორციელებაში ჩართული არიან შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, უნივერსიტეტები, მწერალთა სახლი, ასევე, მეცნიერების, განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროში მოღვაწე პირები.

„ევროპელ მკვლევართა ღამე“ ევროპული მეცნიერებისა და ინოვაციების ფართო მასშტაბის ფესტივალია, რომელიც ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და „Horizon 2020“ პროგრამის ასოცირებული ქვეყნების ათეულობით ქალაქში 2005 წლიდან იმართება. სწორედ აღნიშნული ფესტივალის ფარგლებში ჩატარებული მარი სკლადოვსკა-კიურის მიმართულების კონკურსის, „ევროპელ მკვლევართა ღამის“, გამარჯვებული გახლავთ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროექტი „მეცნიერება კაპიტანია“, , რომლის საგრანტო ბიუჯეტი 197 500 ევროს შეადგენს.

❖ ❖ ❖

პროექტის „მეცნიერება კაპიტანია“ ფარგლებში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით, მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩის“ გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონია დისტანციურ ფორმატში გაიმართა. კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“, რუსთაველის ფონდის მხარდაჭერით, 10 წელია ტარდება და მისი მიზანია მოსწავლე ახალგაზრდებს შორის მეცნიერების პოპულარიზაცია და ინოვაციებისა და ტექნიკის მიმართ ინტერესის გაღვივება. კონკურსში საჯარო და კერძო სკოლების VII-XII კლასების მოსწავლეები მონაწილეობენ.

მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსში:

➡ I ადგილი **გიგი გუგუნავამ, ნია ნორაკიძემ** და **დიმიტრი გულუამ** მოიპოვეს პროექტით: „რიგის კონტროლის სისტემა“.

➡ II ადგილი **როსტომ ნიორაძეს, ნიკოლოზ თავდიშვილსა** და **ზურა კოპაძეს** ხვდათ წილად პროექტისთვის: „წყალბადის ავტომატიზირებული გენერატორი პერსპექტიული სათბობური ელემენტისათვის“.

➡ III ადგილი **გელა კუხიანიძემ, ნინიკო შარიამ** და **გეგა შავდათუაშვილმა** დაიკავეს პროექტით: „დისტანციური დიაგნოსტიკა“.

sport

www.akhaliganatleba.ge

ქართველების ევროპული ტრიუმფი

ხორვატულ პორეჩში ჩატარებული 23-წლამდელ ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი ქართული ძიუდოსთვის მორიგ ტრიუმფად იქცა. იქ მხოლოდ ბიჭების გუნდი გამოვიდა, რომელმაც 8 მედალი დაისაკუთრა: 2-2 ოქრო-ვერცხლი, 4 ბრინჯაო და საერთო გუნდურ ჩათვლაშიც გაიმარჯვა. არადა, როგორც გითხარით, გოგონებში მონაწილე არ გვყოლია, საერთო ჩათვლაში ბიჭების და გოგონების შედეგები ჯამდება. ბუნებრივია, მხოლოდ ბიჭებშიც უკონკურენტოდ ვართ – მეორეზე რუსეთია, რომელსაც მხოლოდ 4 მედალი აქვს და აქედან მხოლოდ ერთი ოქროა.

შეგახსენებთ, რომ პორეჩში ამ ტურნირს წინ უსწრებდა ევროპის ჩემპიონატი 21-წლამდელ ძიუდოისტთა შორის, რომელზეც წინა ნომერში ვწერდით, ახლა კი მხოლოდ შეგახსენებთ, რომ იქ ჩვენებმა 3 მედალი – სამივე სინჯის თითო ჯილდო დაისაკუთრეს, თუმცა 23-წლამდელთა წარმატება ბევრად მასშტაბურია. მათ რიგებში ევროპის ჩემპიონები უკვე ეროვნული ნაკრების წევრები – **ტატო გრიგალაშვილი** (81) და **ლუკა მაისურაძე** (90) გახდნენ. ვერცხლის მედლებს **თემურ ნოზაძე** (60) და **გელა ზაალიშვილი** (+100) დაეუფლნენ, ხოლო ბრინჯაოს მედალოსნები გახდნენ: **ჯაბა პაპინაშვილი** (60), **ბაგრატ ნინიაშვილი** (66), **ვლადიმერ ახალკაცი** (81) და **ონისე სანებლიძე** (100).

ჩვენმა გუნდმა განსაკუთრებული წარმატებით შეჯიბრების დასკვნით, მეორე დღეს იასპარეზა, როცა ოთხივე წონაში მოიპოვა მედალი და ტურნირში ჩაბმული ჩვენი ხუთივე მონაწილე მედალოსანი გახდა. თანაც, ხუთივე გავიდა ნახევარფინალში – ესეც სიძლიერის ერთგვარი საზომია. სწორედ ამ დღეს მოვიპოვეთ ორივე ოქრო, რასაც ამდენივე ბრინჯაო და ერთი ვერცხლიც დაუმატეს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია 60 და 81 კილოგრამები, სადაც 2-2 მონაწილე გვყავდა და ყველამ მედალი ირგუნა, ანუ, ამ წონებში მედლების ნახევარი ჩვენ მოვიპოვეთ, კვარცხლბეკზე კი 2-2 ქართველი იდგა. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ 81-ში ოქროს მედალიც გვქონდა.

აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გუნდის დაკომპლექტებისას სრულად გაამართლა მწვრთნელთა გადაწყვეტილებამ – მათ ერთი წონა გამოტოვეს, ამის ხარჯზე კი სამი გააორეს. ამ სამიდან ორში – 60-სა და 81-ში ჩვენმა ორივე მონაწილემ მედალი მოიპოვა, 66-ში კი – ერთმა. ანუ, გაორებულ წონებში, 6 შესაძლებლიდან, 5 მედალია თავისი ოქროთი! მადა ჭამაში მოდის და, ვინმეს იქნებ იმაზე დაწყდეს გული, ქართული ფინალი რომ არ გაიმართა, თუმცა ამისთვის გუნდი დასაძრახი არაა.

არადა, ქართული ფინალი ნამდვილად რეალური იყო, რადგან 60-შიც და 81-შიც ოთხივე სპორტსმენი ნახევარფინალში გავიდა, მაგრამ მჩატე წონაში ეს ფინალი რუსმა **კონსტანტინ სემიონიდისმა** ჩაშალა, 81-ში – შვეიცარიელმა **ლუკას ვაიტვერმა**. ოღონდ სემიონიდისმა თუ ნამდვილად აჯობა ჯაბა პაპინაშვილს, ახალკაცი ფეხის ტრავმამ დააზარალა, რომელიც დამატებითი დროის დასაწყისშივე მიიღო. ეს რომ არა, ვფიქრობ, მას მოგება ნამდვილად შეეძლო, ვაიტვერთან შეხვედრა კი მარათონული გამოდგა – 9 წუთზე დიდხანს გაგრძელდა, ეს კი ორი შეხვედრისთვის საჭირო დროზე მეტია. ამ ხნის განმავლობაში შვეიცარიელმა ფეხმტკივან კაცს ვერ გაუკეთა ილეთი, ახალკაცი კი მესამე გაფრთხილებით მოხსნეს. კიდევ კარგი, მას ფინალში რევანში მაინც აუღო გრიგალაშვილმა და საკმაოდ იოლად აჯობა, რაც ნოზაძემ ვერ მოახერხა 60-ში, თუმცა ამაში თავისი როლი მსაჯის შეცდომამაც ითამაშა – ქართველს იპონი გაუუქმა, რაც ძალზე საეჭვო გადაწყვეტილებაა. ეს რომ არა, მესამე ოქროც გვექნებოდა.

როგორც გითხარით, გრიგალაშვილი უკვე ეროვნული ნაკრების წევრია – 20 ნოემბერს მის შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონატზე უკვე უფროსთა შორის იჭიდავებს. პანდემიით გამოწვეული 8-თვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ, ნამდვილად არ იყო თავის ჩვეულ ფორმაში, თუმცა მაინც დამაჯერებლად მოიგო ტურნირი და გამარჯვება არც ერთ შეხვედრაში საეჭვოდ არ გაუხდია, მიუხედავად იმისა, რომ იპონით არც ერთი შეხვედრა არ მოუგია, ერთში კი დამატებითი დროც დასჭირდა. უბრალოდ, ჭიდაობდა დამაჯერებლად, ყველა ორთაბრძოლაში ფლობდა უპირატესობას, ინიციატივას და დაცვაში უშეცდომოდ ირჯებოდა.

მაისურაძე ოფიციალურ შეჯიბრებაზე პირველად გამოვიდა ახალ წონაში და დებიუტი ოქროთი აღნიშნა – დასაწყისიც ასეთი უნდა!

ის ოლიმპიადის შემდეგ ისედაც გეგმავს ამ წონაში გადასვლას. ამიტომ ახლანდელი გამოსვლა ნაწილობრივ ექსპერიმენტიც იყო, ნაწილობრივ კი იმის დამსახურება, რომ შეგნებულად არ დააკლებინეს წონაში, რადგან 19 ნოემბრიდან უკვე უფროსთა ევროპის ჩემპიონატში უნდა ჩაებას, სადაც კვლავინდებურად 81 კილოგრამში გამოვა. ამიტომ ახლა დაკლება იმ შეჯიბრებისთვის გამოფიტავდა. სამაგიეროდ, აქ გამოსვლა იმ ტურნირისთვის სასტარტოდ გამოადგებოდა (იგივე ითქმის გრიგალაშვილზეც).

რაც ხორვატიაში ვნახეთ, შეიძლება ითქვას, რომ მაისურაძემ გამოცდა ჩაბარა და მზადაა ახალ წონაში საჭიდაოდ – დიდი ალბათობით, ადაპტაცია არ უნდა გაუჭირდეს. არადა, ამას დრო სჭირდება, თუმცა ქართველმა ეს ეტაპი უპრობლემოდ უნდა გაიაროს. იქნებ 23-წლიანთა პირველობა არაა უძლიერესი ტურნირი – წონის ლიდერები არ გამოდიოდნენ და ძალთა საზომად არ გამოდგება, თუმცა მაისურაძემაც კარგად წარმოაჩინა თავი. სხვა საქმეა, რას იზამს კონკრეტულ ფალავნებთან, ანუ წონის ლიდერებთან – ეს უკვე კონკრეტული მზადებისა თუ ტაქტიკის შედეგია, მაგრამ ამ წონას მორგებული ნამდვილად ჩანს. ახალ წონაში ფიზიკურად არ უნდა გაუჭირდეს, რისი თქმის საფუძველსაც ძალისმიერ სტილში მოგებული ორი შეხვედრა გვაძლევს – სერბი დარკო ბრასნოვიჩი უკვე მეორე წუთის მიწურულს შებოჭა, ფინალში კი, ფიზიკურად მასზე ბევრად დიდი, რუსი **ეკუბზონ ნაზიროვიც** წმინდად დაჯაბნა. ეს ძალიან თვალსასაჩინო პაექრობა გამოდგა, სადაც, ცოტა არ იყოს და, ავანტურისტული ტაქტიკა აირჩია – ქვეჭიდში ქამარზე გადავლებიდან აეწია ამხელა კაცი და ისე გადაეტრიალებინა! დაახლოებით ისეთი სურათი იყო, ჭიანჭველა თავისზე დიდ ტვირთს რომ ექაჩება. რამდენიმეჯერ ამან შედეგი ვერ მოუტანა, ამასობაში კი თავად ჩამორჩა, როცა მეტოქემ დგომში გამოცერა. მაისურაძემ გამარჯვება ბოლო 20 წამში მოიპოვა, როცა ორი ილეთი გაუკეთა და წმინდად მოიგო. ტანით ბოსნიელი **ტონი მილეტიჩიც** გვარიანად აღემატებოდა მას, თუმცა მშვენიერ კისრულზე წამოიღო, შვედი **აქსელ ოსკარსონი** პირწმინდად დაჩაგრა, ლატვიელი **ალექსეის ზარუდნევსი** კი კარგი ტექნიკური ილეთით ჩამოიშორა.

როგორც გითხარით, 60 კილოგრამში ბევრად უკეთესი შედეგიც შეიძლებოდა, გვქონოდა, თუმცა ფინალში ნოზაძეს იპონი საერთოდ მოუხსნეს. ამ წონაში ისედაც დიდი კონკურენციაა, რაც ახალგაზრდების ამ გამოსვლამ კიდევ უფრო გაამძაფრა. ისინი უკვე შედიან ეროვნული ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში, თუმცა დიდი მოლოდინია, რომ მომავალ ოლიმპიურ ციკლში ძალთა ბალანსს თავის სასარგებლოდ შეცვლიან. არადა, იქ ცუდი კადრები არც ახლა გვყავს – ევროპისა და მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი **ლუხუმ ჩხვიმიანი** და ასევე ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს მესამე პრიზიორი **ამირან პაპინაშვილი**, ჯაბა პაპინაშვილის უფროსი ძმა.

უფრო მეტს ველოდით მძიმეწონოსან გელა ზაალიშვილისგან, რომელიც 21-წლამდელებში წინა წლების ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონია. ამასთან, ისიც ეროვნული გუნდის წევრია. იძულებითი პაუზა და გაცდენილი პერიოდი მასაც ძალუმად ეტყობოდა, ფიზიკურად აშკარად გაუჭირდა და ფინალშიც ამან დააზარალა უნგრელ **რიხარდ სიპოჟთან**, ოთხი დღით ადრე, 21-წლამდელებში რომ გახდა ევროპის ჩემპიონი!

სანებლიძე ნახევარფინალში საკუთარ შეცდომას ემსხვერპლა უნგრელ **ჟომბორ ვეგთან**, როცა ტაქტიკურად შეცდა. ვფიქრობთ, იმ ეპიზოდში ბრძოლის აზარტში შესულმა ემოციები ვერ გააკონტროლა და წმინდა მოგების სურვილით გაუმართლებლად გარისკა, რაც არაფრად არ სჭირდებოდა, ვინაიდან იმ დროს ვაზარით ისედაც იგებდა. მანამდე ორი შეხვედრის მოგებას მხოლოდ 2.45 წუთი დაახარჯა, ბრინჯაოსთვის პაექრობაში კი უსწრაფესი იპონიც მიითვალა – ფრანგი **პაულ დევო** 15 წამში მოგვერდით დააგდო იპონზე.

რუბრიკას უძღვება ირაკლი თავაძე

ჩემი ნამუშევრები იმას ყვებიან, რაზეც თითოეული მნახველი თავისი აღქმით აალაპარაკებს

ჩვენი სტუმარი, თვითნასწავლი მოქანდაკე ზაურ გამყრელიძე, თავისუფალ უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე სწავლობს და, პარალელურად, საყვარელ საქმიანობასაც აგრძელებს. მისი ექსპრესიული და კონცეპტუალური სკულპტურები ჩვენს რეალობას ეხმაურება. ყველა ფიგურა ინდივიდუალურია, ყველას თავისი ისტორია და საკუთარი სათქმელი აქვს.

– ზაურ, რა მოგცა ყველაზე მნიშვნელოვანი მშობლიურ ქალაქში გატარებულმა ბავშვობის წლებმა?

– დავიბადე 1998 წლის აგვისტოში, ონში. სკოლაც იქ დავამთავრე. ონი რაჭის პატარა, სიმშვიდეში ჩაკარგული ქალაქია, მოვლენების ეპიცენტრს მოშორებული. ონიდან ცენტრის მღელვარება საინტერესო დასაკვირვებელია. შეუძლებელია ამან თავისი როლი არ შეასრულოს სამყაროს შენეულ აღქმაზე. სწორედ ამ აღქმას ვუმადლი ალბათ ჩემს მხარეს.

– როგორ აფასებ რეალობას, რომელშიც პანდემიის პირობებში ყველანი ერთად აღმოვჩნდით?

– ვირუსმა სტუდენტებს უკვე მოგვპარა უნივერსიტეტის კედლებში გასატარებელი ერთი წელი. მე მხოლოდ ერთი სემესტრიღა დამრჩა დამთავრებამდე და ეჭვი მაქვს, დაბრუნებას ვეღარ მოვასწრებ. გული მწყდება, თუმცა, დისტანციური სწავლების გამო, რაჭაში მეტ დროს ვატარებ, თითქმის დამვიწყებია აქაური გაზაფხული და შემოდგომა. შეხსენება მშვენიერი გამოდგა. იმედია, ეს კრიზისი მალე ჩაივლის და ყველანი ძველებურ ცხოვრებას დავუბრუნდებით.

– როდის დაუმეგობრდი პლასტილინს და რა იყო პირველი, რაც გამოძერწე?

– ბაღში სულ ორი კვირა ვიარე და პირველად სწორედ იქ მომიწია პლასტილინთან შეხება. საღამოს, სახლში დაბრუნებულმა, დედას პლასტილინი ვთხოვე, დედამ ფული მომცა და, ჩემს ცხოვრებაში პირველად, მარტო წავედი მაღაზიაში, სწორედ პლასტილინის საყიდლად. შემდგომ დედას ბევრი სამკაული და ფეხსაცმელი გამოვუძერწე, ამ ორი რამის ძერწვა მიყვარდა ყველაზე მეტად.

– რამდენ ნამუშევარს ითვლის შენი კოლექცია, რომელია საყვარელი ნამუშევარი?

– 30-მდე ნამუშევარი დამიგროვდა. ამ ბოლო დროს და ზოგადადაც, საკმაოდ იშვიათად ვაკეთებ ქანდაკებებს, ხშირ-ხშირად ვერ ვმუშაობ. ყოველ ნამუშევარში დიდი ემოციური რესურსი იდება, რის შეგროვებასაც, ჩემ შემთხვევაში, დრო სჭირდება. ნამუშევრებს სახელებს არ ვარქმევ და არც სიყვარულს განვიცდი რომელიმეს მიმართ, დასრულების შემდეგ, მთავარია, თავს უფრო თავისუფლად ვგრძნობდე და კმაყოფილი ვიყო ნამუშევრის ესთეტიკური მხარით. ვფიქრობ, არტისტს, ნამუშევრის კეთებისას, საკმაოდ ინტიმური სულიერი დეტალები გამოაქვს სააშკარაოზე. ხელოვანმა როკო ირემაშვილმა კარგად უწოდა მუშაობის პროცესს „სულიერი სტრიპტიზი“. ამის გამო, შინაარსის დამატებით ვერბალიზაცია, ვფიქრობ, ზედმეტია და ისედაც, როცა ხელოვანი ნამუშევარს ამთავრებს, ის დამოუკიდებლად ცხოვრებას აგრძელებს და მთავარი ხდება ამ ნამუშევრისა და მნახველის ურთიერთობა. ეს ურთიერთობა სუფთა ფურცლიდან უნდა დაიწყოს იმისთვის, რომ აღქმა ჭეშმარიტი გამოვიდეს.

– როგორ იბადება იდეა ახალი სკულპტურის შესაქმნელად. როგორია ამ დროს შენი განწყობა – აღელვებული ხარ, მხიარული, ბედნიერი, სევდიანი თუ...

– ფიქრისა და განცდის პროცესში, სიტყვებისა და ემოციების ბურუსიდან, ფორმა იბადება, რომელიც ხშირად ზედმეტად რთულია და გამარტივება სჭირდება იმისთვის, რომ მისი განხორციელება რეალისტური იყოს. როცა ვფიქრობ, რომ საკმარისად გავამარტივე, მხოლოდ მაშინ ვიწყებ მუშაობას. არის შემთხვევები, უბრალოდ, პლასტილინით თამაშის დროს, ფორმა თავად გკარნახობს იდეასა და მომდევნო ნაბიჯს. პროცესამდე ყველანაირი განწყობით მივსულვარ, ნებისმიერმა რამემ შეიძლება გააჩინოს სურვილი, მაგალითად, ერთი ნამუშევრის შექმნამდე, საღამოს, ავტობუსიდან დავინახე ღრუბლებში თავშეფარებული თბილისის ანძა. იმ ღამეს 14 საათი გადაბმულად ვიმუშავე. ემოცია კრეატიულ ენერგიას აგროვებს, ოდესმე კი ეს ენერგია გზას პოულობს სამგანზომილებიან სამყაროში გამოსაღწევად.

– შენი ფიგურებით განსხვავებულ სათქმელს ამბობ... ქანდაკებების უმეტესობა თანამედროვე ცხოვრების ტემპს ასახავს – ვინ არიან, რას ფიქრობენ და რაზე გვესაუბრებიან ისინი?

– ჩემი ქანდაკებები ჩემი და სამყაროს ინტერაქციის ნაყოფია, გნებავთ, მატერიალიზებული გრძნობები და თავგადასავლები, ქვეცნობიერიდან წამოსულ ბურუსში ნაპოვნი ფორმები ან ჩემი ტვინის და ხელების გვერდითი მოვლენები. ნამუშევრის დასრულების შემდეგ, ჩემი საქმეც დასრულებულია. შემდგომ ისინი იმას მოყვებიან, რაზეც თითოეული მნახველი თავისი აღქმით აალაპარაკებს, იქცევიან ერთგვარ სულიერ სარკეებად, რომლებიც ჩვენს თავსა და ჩვენ მიერ დანახულ სამყაროზე ილაპარაკებენ.

ვფიქრობ, ყველაზე საინტერესო ეპოქაში ვცხოვრობთ, ადამიანებისთვის სამყარო არასდროს ყოფილა უფრო მრავალფეროვანი, ვიდრე ახლა, ბევრად უფრო სწრაფად მივიწევთ თავისუფლებისკენ, ვიდრე ოდესმე. მიუხედავად ამისა, ცხადია, ამ ეპოქამ თავისი გამოწვევები მოიტანა ჩვენთვის – ცხოვრების ძალიან მაღალი ტემპის გამო, ადამიანებს ხშირად აღარ რჩებათ დრო საკუთარი თავისთვის, გარემოს დაბინძურების გამო მომატებულია ეკოლოგიური კატასტროფების რისკი... თუმცა, ვფიქრობ, ამ და სხვა პრობლემების გასამკლავებლად ვიპოვით გზებს, ამაში ხელოვნებაც დაგვეხმარება და თუ ჩემი ნამუშევრებიც ვინმეს ცოტა ხნით თავს უკეთ აგრძნობინებს, კმაყოფილი დავრჩები.

– რა არის შენი, როგორც ხელოვანის სათქმელი, თანამედროვე ხელოვნების ძირითადი დანიშნულება?

– არ ვფიქრობ, რომ ხელოვნებისთვის რამე კონკრეტული დანიშნულება არსებობს, საბოლოოდ, ის ყველასთვის ინდივიდუალურია. ზოგისთვის – თვითრეფლექსიის იარაღია, ჩემთვის – დასვენების, გაქცევის, კრეატიული ენერგიისგან გათავისუფლებისა და ხელახლა შთაგონების გზა. ჯერჯერობით, ეს მაკმაყოფილებს და არ მსურს, ნამუშევრისა და მნახველის ურთიერთობაში ჩარევა, თუ ამ სივრცეში შეხვალ, გულწრფელობის შენარჩუნება სულ უფრო ძნელი ხდება, სიყალბე კი ისაა, რაც ყველაზე ნაკლებად უხდება ხელოვნებას. ნამუშევრის აღქმისას თითქოს ყველა იმის გაგებას ცდილობს, რა იყო არტისტის ჩანაფიქრი. როცა ავტორი საქმეს არ ამარტივებს და ჩანაფიქრს არ ამხელს, მნახველი რთულად რწმუნდება საკუთარი აზრის სისწორეში და, უფრო და უფრო, ღრმად იწყებს პასუხების ძებნას საკუთარ თავში. ეს ხელოვნების ის ეფექტია, რომლის მიღწევაც, ამ ეტაპზე, ჩემთვის ალბათ ყველაზე საინტერესოა.

რასაც მე ვაკეთებ, პირველ რიგში, მაინც ჩემთვისაა და მხოლოდ შემდეგ – მნახველისთვის, აქედან გამომდინარე ვერ ვიტყვი, რომ რამე კონკრეტული სათქმელი მაქვს ვინმესთვის. ცხადია, გარკვეულ შინაარსს ყველა ნამუშევარი ატარებს, თუმცა ვცდილობ, მაქსიმალურად ინტერპრეტირებადი იყოს ნებისმიერისთვის. ინტერპრეტაციის შესაძლებლობით ხანდახან მეც ვერთობი ხოლმე. როცა ნამუშევარს გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ხელახლა ვუბრუნდები, ყოველთვის განსხვავებულ ემოციას აღვიძებს, ერთგვარი სარკეა, რომელიც მოცემული მომენტისთვის შინაგან მდგომარეობას ირეკლავს.

– სად და როდის შედგა შენი პირველი პერსონალური გამოფენა?

– პირველი პერსონალური გამოფენა 2016 წლის შემოდგომაზე, ონის კულტურის ცენტრში შედგა, გამოფენის მოწყობაში ჩემი ხელოვნების მასწავლებელი თეონა ჯაფარიძე დამეხმარა, რომელიც ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ჩემი ქანდაკებით გატაცება შეამჩნია და ყოველთვის გვერდში მედგა. თავიდან ნამუშევრებს ძალიან ბავშვურად, კარკასის გარეშე ვაკეთებდი, ამ გამოფენისთვის კი, ფაქტობრივად, ყველა ნამუშევრის ხელახლა გადაკეთება მომიხდა, ამჯერად უკვე კარკასით. ბევრი ვიმუშავე და საბოლოოდ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ბევრმა ჩემთვის პატივსაცემმა ადამიანმა გამანდო თავისი აზრი ჩემს ნამუშევრებზე.

– რას ნიშნავს შენთვის სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსებში გამარჯვება?

– ამ კონკურსებმა დამარწმუნა, რასაც ვაკეთებდი, იმას სხვებისთვის გარკვეული ემოციური ღირებულება მოჰქონდა. როცა სამყაროსგან უკუკავშირს იღებ, ეს მოტივაციას გმატებს. სხვა მხრივ, განსაკუთრებული დატვირთვა ამ კონკურსებს არ ჰქონია.

– შემოქმედებით განვითარებაში რა როლი შეასრულა რაჭაში გატარებულმა წლებმა?

– რაჭის ბუნება და სიმშვიდე თავისებური ესთეტიკის შეგრძნებას გიყალიბებს. ეს, ცხადია, გარკვეულწილად აისახება ჩემს ნამუშევრებსა და ფოტოებზე. ბოლო დროს ფოტოგრაფიას უფრო მეტ დროს ვუთმობ, ვიდრე ქანდაკებას, აღმოჩნდა, რომ სინათლითაც შეიძლება ძერწვა და მისი შესაძლებლობები კიდევ უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე მყარი მატერიის. სინათლის კვლევა ნებისმიერი ვიზუალური არტისტისთვის მნიშვნელოვანია და ვფიქრობ, ფოტოგრაფიაში მეტი გამოცდილების დაგროვება, შემდგომში, ქანდაკებაშიც დამეხმარება.

– ამჟამად რაზე მუშაობ და რა არის შენი მომავლის გეგმები...

– ვცდილობ, ახალი ვიზუალური ენები ვეძებო, ახალი ფორმები ვიპოვო სათქმელის გადმოსაცემად. როცა საბოლოოდ მივაგნებ ფორმას, რომელიც მომეწონება, უფრო აქტიურად ვაპირებ ქანდაკებების კეთებას და მომდევნო გამოფენისთვისაც დავიწყებ ალბათ მზადებას.

ესაუბრა **მაკა ყიფიანი**
ფოტო: **ნათია გელანტია**





ახალი განათლება

შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
მისამართი: აკაკი წერეთლის გამზ. №126, თბილისი 0119
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

ISSN 2233-386X

რედაქტორი:
ლალი ჯელაძე

იბეჭდება სტამბა „კოლორში“ კოლორი სტამბა მისამართი ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის №3

9 772233 386008 >

ფასი – 2 ლარი

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.